# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 11 მარტი 1997 №27 (392) ფასი 40 თეთრი



# ინგლისი უგაზოდ დარჩა

იანვარში, ამსტერდამში გამართულ ექვსკაცა ფეხბურთის ტურნირზე ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი პოლ გესქოინი „აიაქსის" მეკარეს შეეჯახა და კოჭზე თაბაშირი დაიდო. მერე პოლმა ყველა ღონე იხმარა 12 თებერვლამდე გამოსაჯანმრთელებლად, რათა მსოფლიოს პირველობის შესარჩევში იტალიის წინააღმდეგ ეთამაშა, მაგრამ ინგლისელთა ეროვნული გუნდის თავკაცმა გლენ ჰოდლმა ვერ გაბედა ნაავადმყოფარის მოედანზე გაყვანა. გამოხდა ხანი, რომელმაც პრობლემა თითქოსდა თან გაიყოლა, მაგრამ ექიმებმა ისევ მოიკითხეს ფეხბურთელის კოჭი და...

ახლა გესქოინს ისევ თაბაშირი ადევს და ათ დღეს ასე გაატარებს. ათი დღის შემდეგ ფეხს ტყვეობ[illegible]ან კი გაუთავისუფლებენ, მაგრამ სამკვირიანი დასვენება აქვს გამოწერილი. სააგენტოთა მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, „გლაზგო რეინჯერსის" ლიდერი 30 აპრილს საქართველოსთან მატჩსაც გამოტოვებს და ვერც 31 მაისს იბრძოლებს პოლონელთა წინააღმდეგ. მართალია, მყესი დაზიანებული არ აქვს, მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებსო, განაცხადეს „რეინჯერსის" ხელმძღვანელებმა.

პოლ გესქოინი გუნება-განწყობის კაცადაა ცნობილი. მოედანზეც ასეთია — თუ აეწყო თამაში, დიდი ვარსკვლავია, თუ არადა, შესაძლოა საშუალო მოთამაშედ წარმოჩნდეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთ დიდ საქმეს აკეთებს: თანაგუნდელებს შთააგონებს. პარტნიორთათვის მისი მოედანზე ყოფნა ასეც და ისეც მნიშვნელოვანია და საამისო ფონს პრესის გაზამანიაც ქმნის.

მაშ ასე, შირერი, გესქოინი...

# ყიფიანი კმაყოფილია და... ავადაა

ყიფიანის სანაკრებო გაწამაწია უკვე დაიწყო. აკი გვითხრა კიდეც, ახლა 24 საათიდან 14 ნაკრებს ეკუთვნის და 10 „დინამოსო". ინგლისური ვოიაჟის მერე მისი თურქეთში მივლინებაც ნაკრების ინტერესებისთვის გაკეთდა. მთავარმა მწვრთნელმა საქმეში ნახა ოთხივე ქართველი და კმაყოფილიც დარჩა მათი თამაშით, მიუხედავად იმისა, რომ ჯამარაულს მხოლოდ ხუთი წუთი უყურა. ყიფიანი მეტად კმაყოფილია არჩილ არველაძის თამაშით, თუმცა თვლის, რომ არჩილს მეტი შეუძლია.

თბილისში დაბრუნებისთანავე ყიფიანი ავად გახდა და „სიონთან" თასის განმეორებით მატჩს ვერ დაესწრო. ჩვენთან საუბარში კი აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, 16 მარტს ვლადიკავკაზს გაემგზავრება და ალანიელ ქართველებთან ერთად მიშა ჯიშკარიანსაც ნახავს საქმეში, 21 მარტს კი მოსკოვს გაფრინდება, რათა ცსკა — „ალანიას" მატჩს დაესწროს. ისეთი პირი უჩანს, ყიფიანი ნაკრების 42-ვე კანდიდატს შეამოწმებს. არც ჩვენი მეტოქეების ამხანაგური მატჩების ჩაწერა და ნახვა ავიწყდება. მოკლედ, დიდ ორომტრიალშია.

ამ ჯერზე ყიფიანისგან მცირე ინფორმაციას დავჯერდით, დანარჩენი მისი გამოჯანმრთელების მერე იყოს...

## იაშკა და „ლიუბეკი" ქულებს აგროვებენ

პირველი წრის ჩვიდმეტ მატჩში „ლიუბეკმა" სულ 13 ქულა დააგროვა, მეორე წრის სამ მატჩში კი უკვე 4. წლეულს მეოთხე ქულა იაშვილის გუნდმა სტუმრად მოიპოვა „უნტერჰახინგთან" უგოლო მატჩში, რომელიც მეხუთე ადგილზეა მეორე ბუნდესლიგაში და პირველში გადასასვლელად იბრძვის. მომდევნო თამაშს „ლიუბეკი" შინ ატარებს „შტუტგარტერ კიკერსთან", ვისთანაც პირველ წრეში ერთადერთი მატჩი აქვს მოგებული სტუმრად.

ახლა რაც შეეხება „უნტერჰახინგთან" მატჩს. ამ თამაშზე კიორბელს აშკარა დაცვითი სქემა აურჩევია, დაცვაში ლამის ცხრა კაცი დაუყენებია, წინ კი მხოლოდ იაშვილი წაუწევია, რომელსაც „დინამოში" ამ ბოლო პერიოდში ნათამაშევი გაუმეორებია: ბურთის დაჭერა, გაგორება, განაწილება და, რაც მთავარია, მცველების მიერ მოგერიებულისთვის ბრძოლა. საბოლოოდ იაშკას ისე უთამაშია, „ლიუბეკის" ერთგულ გულშემატკივარს ხელით გამოუყვანია მოედნიდან თამაშის მერე, კიორბელს კი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაუსახელებია. საერთო სიხარულს არც ლიუბეკის მედია ჩამორჩენია და გულშემატკივრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მყის დაუმზადებია იაშვილის ავტოგრაფიანი პირადი ფოტო-ბარათები.



ბადრი [illegible] ფოტო

გუშინ „შევარდენის" სტადიონზე: „შევარდენი" — „მერანი". კვლავ 1:1

## გუშინ გაირკვა საქართველოს თასის ოთხი ნახევარფინალისტი

**დინამო — სიონი 2:0 (6:0)**

**შევარდენი — მერანი 1:1 (1:1) პ 2:4**

**მარგვეთი — ოდიში 2:1 (1:6)**

**კოლხეთი — ბათუმი 0:0 (1:3)**

მეოთხედფინალის ოთხივე საპასუხო მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

# აფრიკის კენწეროდანაც გადმოიხედეს

წარმატებით დასრულდა ქართველ მთამსვლელთა პირველი ექსპედიცია აფრიკაში, რომელიც ამ კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე, ორთავა კილიმანჯაროზე მოეწყო. უმაღლეს პიკზე (5 895 მ.) ავიდნენ ექსპედიციის მეთაური გია თორთლაძე და გივი გიგაური, ხოლო მეორე მწვერვალზე (5 685) მათთან ერთად იყვნენ დავით სიმონიშვილი და დავით დანელია. მეორე მწვერვალზე მათი ლაშქრობა ვიდეოკამერით ფირზე აღბეჭდა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა, ვინც 5 000-მეტრამდე აღწია.

ასე რომ, ბედნიერ ტელემაყურებელს, ვისაც დენი აქვს, საინტერესო კადრების ხილვა ელის, ხოლო უბედურთ, ვინც ამ სიამოვნებას მოკლებულნი არიან, შევთავაზებთ ინტერვიუს გია თორთლაძესთან, რომელიც რამდენიმე დღეში ჰიმალაისკენ, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8 848 მ.) სალაშქროდ გაემგზავრება.

გია თორთლაძე თუ ამ მიზანსაც მიაღწევს, მაშინ მას ერთადერთი კონტინენტის — ავსტრალიის უმაღლესი პიკილა დარჩება დასალაშქრავი.

# ტრაბზონსფორმა შარშანდელის შური იძია

თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ტრაბზონსფორმა" შინ „ვანსფორი" გაანადგურა 4:0 და შარშანდელი ჯავრი ამოიყარა. სწორედ „ვანსფორმა" დააკარგვინა „ტრაბზონს" ბოლოსწინა ტურში ძვირფასი ორი ქულა და ჩემპიონი „ფენერბაჰჩე" გახდა. გუშინწინდელ მატჩში მესამე გოლი შოთამ შეაგდო, არჩილმა კი ერთში წილი დაიდო. გუშინ „ტრაბზონი" ანკარას გაფრინდა, სადაც დღეს „ბეშიქთაშს" ეთამაშება თურქეთის პრემიერის სახელობის თასზე. „ტრაბზონში" საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი თამაშობს, „ბეშიქთაშში" კი თურქეთის ნაკრების ოთხი ფეხბურთელია. მოკლედ, დღეს ანკარაში საინტერესო მატჩი გაიმართება.

## ფეხბურთი

## აუ, რა იყო ეს?!

პრემიერლიგა XIX ტურის ბოლო მატჩი

**ლივერპული 4:3 ნიუკასლი**

1:0 მაკმანამანი (29), 2:0 ბერგერი (31), 3:0 ფაულერი (42), 3:1 გილესპი (71), 3:2 ასპრილია (87), 3:3 ბარტონი (88), 4:3 ფაულერი (92)

## მესამე მეტოქე იტალიაა

ჩვენი თექვსმეტწლამდელთა საფეხბურთო ნაკრების ორი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპის C ჯგუფში ადრეც ცნობილი იყო. სამეული მეოთხეს ელოდა და აი, ისიც გამოვლინდა. ამ ადგილს იტალიელები და რუსები ეცილებოდნენ ერთმანეთს. იტალიამ რუსეთს 3:0 მოუგო და გერმანიაში წასვლის უფლებაც დაისაკუთრა. ასე რომ, ჩვენებურები 28 აპრილს უნგრეთს, 30 აპრილს იტალიას, 2 მაისს კი ბელგიას ეთამაშებიან.

## შვეიცარიაში დავმარცხდით

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა 22:28 წააგო სტუმრად შვეიცარიის გუნდთან. მატჩი ბერნთან მდებარე ქალაქ დუნში კვირას გაიმართა.

ამავე ჯგუფში მოასპარეზე დანარჩენმა ორმა გუნდმა ფინეთში ითამაშა. მასპინძლებმა 24:19 სძლიეს ბელგიელები და ახლა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 3 | 0 | 1 | 103:86 | 6 |
| ფინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 92:83 | 6 |
| საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | 95:95 | 4 |
| ბელგია | 4 | 0 | 0 | 4 | 74:100 | 0 |

## შევარდენი 1:1 მერანი

**პენალტებით 2:4**

**შევარდენი:** სიდამონიძე, თელიაშვილი (ჩიგოშვილი 46), ვერეშჩუკი, თ. კობიაშვილი, კანკავა, გიორგი ქორიძე, მინდიაშვილი, კობესაშვილი, მელქაძე, ჩუხუა, როსტიაშვილი

**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, ქველაძე, ჯიშკარიანი, გოგიბერიშვილი, გელა ქორიძე, ზ. კვარაცხელია, ხორხელი (ცოგიტაძე 49), ჭოლოკავა, მაზიაშვილი (დავითაშვილი 46; ლ. იმნაძე 119), დანელია

0:1 ჭოლოკავა (17), 1:1 ჩიგოშვილი (73)

**გაფრთხილება:** მინდიაშვილი

**პენალტები:** 0:1 გოგიბერიშვილი, 0:1 კობიაშვილი (მეკარე), 0:2 ჯიშკარიანი, 1:2 გიორგი ქორიძე, 1:3 ივანიშვილი, 2:3 ჩუხუა, 2:4 ჭოლოკავა, 2:4 კობესაშვილი (მეკარე)

**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**პირველი მატჩი 1:1**

პირველი შეხვედრისა არ იყოს, „შევარდენმა“ გუშინაც იგივე შემადგენლობით ითამაშა. ტაქტიკური სქემაც იგივე ჰქონდა და ფეხბურთელებიც ისეთივე მონდომებულები იყვნენ, როგორც „სინათლის“ სტადიონზე. რაც შეეხება „მერანს“, მათ რიგებში რამდენიმე ცვლილება მოხდა: სასტარტო შემადგენლობაში კვარაცხელია, ხორხელი და დანელია გამოჩნდნენ. თემურ მახარაძემ აქცენტი აშკარად შემტევ ფეხბურთზე გააკეთა. თუმცა, მერანელთა მწვრთნელის ასეთი ნაბიჯი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა — 0:0 ანგარიშის შემთხვევაში ნახევარფინალში ხომ სტუდენტები გადიოდნენ. ეტყობა, მასპინძელთა მწვრთნელმა წინასწარ განჭვრიტა კოლეგის ჩანაფიქრი და საკუთარი კარის უსაფრთხოება დაავალა ფეხბურთელებს. მატჩიც ასე წარიმართა. ტერიტორიული უპირატესობა „მერანის“ მხარეს იყო, „შევარდენი“ უფრო დაცვაში „იჯდა“ და ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს სწრაფი კონტრშეტევისთვის იყენებდა. ასე შექმნა კიდეც ორი თითქმის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი, მაგრამ არ გაუმართლა: საკუთარი საჯარიმოს მახლობლად ბურთი მელქაძემ მიიღო და გრძელი პასით ჩუხუას ხელსაყრელ პოზიციაში დატოვება სცადა. ამ დროს უსწრაფესმა როსტიაშვილმა ყველას დაასწრო, მეკარესთან პირისპირ დარჩა და მეტად უხერხულად დაარტყა, დოლიძემ კი მშვენიერი ნახტომით კიდევ ერთხელ იხსნა კარი. ტყუილად არ ვამბობთ, კიდევ ერთხელო, რადგან ამ მომენტამდეც და მას შემდეგაც მერანელთა მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იყო, პენალტების დროს ხომ ნულარ იტყვით... თუმცა, მეორე ტაიმში იყო რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი, როცა იგი დაიბნა, დაიძაბა და „მერანის“ ერთბურთიანი უპირატესობა ეჭვქვეშ დადგა. 73-ე წუთზე „მერანს“ დოლიძემაც უმტყუნა და იღბალმაც — ჩიგოშვილმა კარის ხაზიდან გაათანაბრა ანგარიში. მანამდე კი, სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო, შევარდენელთა მსგავსად, მათაც რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და მთელი 120 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იხეირეს: ივანიშვილმა მარჯვენა ფლანგზე ორი მცველი ჩამოიშორა, საჯარიმოში ჩაწოდა და ჭოლოკავამ აუღელვებლად შეაგდო. საქმე თითქოს მოთავებული იყო: „მერანი“ მეტოქის მოედანზე დაწინაურდა. ამის შემდეგ სტუმრები თითქოს დაცვით თამაშს უნდა მისძალებოდნენ და „შევარდენს“ ხელ-ფეხი უნდა გახსნოდა, მაგრამ პირიქით მოხდა — „მერანი“ კვლავ უტევდა, მასპინძლები დიდი გაჭირვებით იცავდნენ თავს. მატჩის მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად წარიმართა. თემურ მახარაძემ მაზიაშვილის ნაცვლად დავითაშვილი გამოიყვანა და კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმა. გოგიბერიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ცენტრში გადაინაცვლა და გელა ქორიძეს შეეწყვილა, მისი ადგილი დანელიამ დაიკავა, მარჯვნივ კი ჭოლოკავა ათამაშდა მწვავედ. სწორედ ამ ტაქტიკური გადაადგილებების შედეგი იყო, მეორე ტაიმის დასაწყისში კვარაცხელიამ ორი ერთმანეთზე ხელსაყრელი მომენტი რომ შექმნა, მაგრამ ორივე უშედეგოდ დამთავრდა. „შევარდენის“ სტადიონზე მრავლად შეკრებილი მაყურებელი უკვე შეგუებული იყო „მერანის“ გამარჯვებას, ფეხბურთელებიც დადინჯდნენ და მალალურაძის სასტვენს ელოდნენ, როცა მასპინძლებმა გაათანაბრეს ანგარიში. საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა, რაც ესოდენ იშვიათია საქართველოს თასის მატჩების დროს. ამიტომაც იყო, რომ ფეხბურთელებმა ჩვეულ რიტმში ველარ განაგრძეს ბრძოლა, ისინი ხომ მიუჩვეველნი არიან 120 წუთიან თამაშს. გასაკვირი არც ისაა, ყოველი საეჭვო ჯარიმისას მინდვრიდან ფეხზე წამოდგომას რომ არ ჩქარობდნენ. ისე, სამართლიანობისთვის არც იმის დავიწყება იქნება, რომ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო დონის და პირობების გათვალისწინებით, ორივე გუნდი მონდომებით თამაშობდა და არც სპორტული ჟინი აკლდა. თუმცა, „შევარდენმა“ აშკარად ვერ გაამართლა გაცემული ავანსები და ელემენტარული შეცდომების გამო რომ არ დაისაჯა და დიდი ანგარიშით არ წააგო, „მერანის“ თავდამსხმელებს უნდა უმადლოდეს. ისე მაინცდამაინც არც სტუმართა წინა ხაზის ფეხბურთელებს გამოუჩენიათ თავი, მათ მიერ შექმნილ და გამოუყენებელ მომენტებზე ზემოთაც ვთქვით. ნათქვამია — ვერ გაიტან, გაგიტანენ. გუშინდელი მატჩიც ამის დადასტურება გახლდათ. ჯერ „შევარდენის“ ფეხბურთელებმა ვერ იხეირეს საგოლე მომენტებით და დაისაჯნენ, შემდეგ კი მერანელებმა გაუშვეს ხელიდან რამდენიმე რეალური შანსი და შეცვლაზე შემოსულმა ჩიგოშვილმა არ აპატია მათ უხეირობა. ამ ფეხბურთელმა გაუმართლა იმედი ხუციშვილს: მეორე ტაიმში თამაშში ჩაერთო და აიკლო მარჯვენა ფრთა, გოლიც შეაგდო და გამორჩევის ღირსიც სწორედ ის არის მერანელ ხორხელთან ერთად, რომელიც მძიმედ დაშავდა და მატჩის შემდეგ სასწრაფო დახმარება დასჭირდა...

ნახევარფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია. მატჩისშემდგომი პენალტების სერიით „მერანმა“ იმარჯვა და „ბათუმთან“, „ოდიშთან“ და თანაქალაქელ „დინამოსთან“ ერთად თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს. თუმცა, გამარჯვებული შეიძლება „შევარდენიც“ ყოფილიყო, რაც ასევე ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ „მერანს“ გუბაზ დოლიძემ მოაგებინა. ორი პენალტიც მოიგერია და თანაგუნდელთა ქების სიტყვებიც საკმაოზე ბევრი მიიღო...

**კობა ინასარიძე**



დოლიძემ როსტიაშვილს ხელი შეუშალა



კალაძე და შაკიაშვილი ბურთისთვის იბრძვიან

## კოლხეთი 0:0 ბათუმი

**კოლხეთი:** მ. გვისალია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, გოროზია, ამაშუკელი, ინიაშვილი, ლილანიძე (თიბილაშვილი 85), სოლოღაშვილი, დარასელია, ბულუხია

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, შანიძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი

78-ე წუთზე ამაშუკელმა ვერ გამოიყენა პენალტი

**გაფრთხილება:** ტოგონიძე

**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

**პირველი მატჩი 1:3**

ბათუმის თამაშისგან ამ შეხვედრას ბევრი რამ განასხვავებდა. თუნდაც ის, რომ ფოთში მშვენიერი ამინდი იყო და თამაშიც ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩატარდა, რაკიღა მსაჯობით უკმაყოფილო არავინ დარჩა. ბათუმელთა კაპიტნის მალხაზ მახარაძის ადგილი, რომელიც გაფრთხილებების გამო ტოვებდა განმეორებით მატჩს, შანიძემ დაიკავა.

ფოთელები სარევანშოდ იყვნენ განწყობილნი და პირველივე წუთებიდან შეუტიეს. მე-4 წუთზე დარასელიას დარტყმული ტოგონიძემ მოიგერია, მე-17 წუთზე კი შეყილაძემ გამოიტანა კარიდან ამაშუკელის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი, რომელსაც ლილანიძემ თავი დაუხვედრა. ხუთ წუთში თავად ფოთელებმა ვერ ივარგეს, როცა ბულუხიამ მიქაბერიძის ჩაწოდებული ვერ გამოიყენა. ტაიმის შუაში ბათუმელებმაც გამოიღეს ხელი: მუჯირმა ინდივიდუალური გარღვევა იმით დაასრულა, რომ ღლონტს ხელსაყრელ პოზიციაში გადააწოდა, მან კი ეს პასი ვერ შეიფერა და აცილა.

38-ე წუთზე კვლავ „ბათუმს“ მოუხდა თავის დაცვა — ტოგონიძემ ლილანიძის დარტყმა მოიგერია. ოთხ წუთში კი სტუმრები შეტევაზე გადავიდნენ. ტულუშ-მუჯირ-ღლონტის კომბინაცია ღლონტმა ამჯერად ზუსტი დარტყმით კი დაასრულა, მაგრამ ბურთს მეკარე მამუკა გვასალია დაუხვდა ადგილზე.

პირველი ტაიმი ასე გასრულდა და სიტუაცია არც მეორე ნახევარში შეცვლილა. მასპინძელთა უპირატესობა აქაც აშკარა იყო, მაგრამ ისიც იგრძნობოდა, რომ მოედნის ცენტრი ბათუმელებმა შეგნებულად დათმეს და თამაში მწვავე კონტრშეტევებზე ააგეს. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას, როცა მუჯირი სწრაფად გაცდა რამდენიმე მცველს, გვასალიამ იმარჯვა და მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მოიგერია. მანამდე სოლოღაშვილი დაემუქრა სტუმართა კარს, მაგრამ ტოგონიძეც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. თანაც, მარტო ამ ეპიზოდში არა — შემდეგაც, ჯერ ლილანიძის და დარასელიას დარტყმები მოიგერია, 78-ე წუთზე კი — ამაშუკელის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი. ამან ფოთელებს ხელი ჩააქნევინა და ნახევარფინალშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, „ბათუმი“ გავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**
**ფოთიდან**

## დინამო 2:0 სიონი

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ზ. ჭელიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კაკაბაძე, ზამთარაძე, კერძევაძე, ყიზილაშვილი, დემეტრაძე

**სიონი:** ჩლაიძე, ნაცვლიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, ვ. სამხარაძე, ჯაგიდისი, ჯიფარიძე, ისიანი

1:0 გოგიჩაიშვილი (72), 2:0 მაჭავარიანი (84)

**გაფრთხილება:** ჭელიძე

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**პირველი მატჩი 6:0**

დიღმის ბაზაზე გამართული განმეორებითი შეხვედრა პირველზე უინტერესო გამოდგა. გუნდები მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობდნენ. ან რაღა იყო გასარკვევი, როცა დინამოელებს ოფლის ღვრა თითქმის არ დასჭირვებიათ, ისე მოიგეს პირველი მატჩი. „დინამომ“ ახლაც იმარჯვა და ეს უმტკივნეულოდ მოახერხა — 90 წუთის შემდეგ ფეხბურთელებს თამაშისა და გარჯის არა ეტყობოდათ რა. სტუმრებს მეფარიშვილი აკლდათ, რომლის ნაცვლად ვეტერანი ჯონი ჯაგიდისი გამოიყვანეს, რომელმაც კი მოინდომა, მაგრამ „დინამოს“ დაცვას ვერაფერი დააკლო. მასპინძლებმა ვარჯიშზე ფეხნატკენი ცქიტიშვილი და ჩხაიძე მოისაკლისეს. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ სტუმართა დაცვა ხუთი დღით წინანდელზე ბევრად სოლიდურად გამოიყურებოდა, „დინამომ“ ისე მოიგო, ზედმეტი სირბილიც არ დასჭირვებია. ბოლნისელები თავს კი იცავდნენ, მაგრამ თავად ერთხელაც ვერ გადაახტუნეს ზოიძე. ჩლაიძეს კი რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. ტაიმის ბოლოს ბოლნისელები მინდორზე ათნი დარჩნენ: მოედნის ცენტრში ბურთს სტუმარ-მასპინძელი ყიფშიძე და ჯელაძე შეეცილა. დინამოელმა იუხეშა, სტუმართა კაპიტანი მინდორზე გაწვა და არც ამდგარა. იგი გასახდელში გაიყვანეს, ჯელაძემ კი მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა და ერთ მატჩსაც გამოტოვებს. ყიფშიძემ თამაშის გაგრძელება ვერც მეორე ნახევარში შეძლო და რადგან ბოლნისელებს სათადარიგო მეკარეც ჰყავდათ, მატჩი ათი კაცით დაასრულეს — სტუმართა სათადარიგო გოლკიპერმა ნუგზარ დალაქიშვილმა მარჯვენაფეხშეხვეული კაპიტანი ზურგზე მოიგდო და ავტობუსისკენ გააქანა, რათა მეორე ტაიმის დასრულებამდე თბილად ყოფილიყო! 11 მოთამაშე რის მაქნისი იყო და 10 რაღას იზამდა? „დინამომ“ უფრო შებოჭა მეტოქე და სულაც სტუმართა ნახევარზე დასახლდა. ეს იყო, თბილისელთა შეტევებს სიმწვავე და სიზუსტე აკლდა. მასპინძლებმა მეორე ნახევარში ორჯერ მაინც იხეირეს. ჯერ გოგიჩაიშვილი და-სრიალებული ბურთის ეფექტური გატანის შემდეგ სარეზერვო მოთამაშეს, 12 წუთის მიგონება და მოკლედ გოლი მოახვედრა... გოგიჩაიშვილიმ ზედიზედ მიხედა ხელი, მაჭავარიანმა კი 84-ე წუთზე მატჩი ანგარიში შეძლო [illegible] ჩუმიმ 90 წუთის შემდეგ მოიგერა არბიტრის ნახვა, შარპის [illegible] ლმა ფეხბურთელებმაც მეტი ოფლი ღვარა...

**მამუკა კვანტალიანი**

## მარგვეთი 2:1 ოდიში

**მარგვეთი:** [illegible], [illegible], [illegible]რელიძე, გაბრიჭიძე, ლ[illegible], ფანჩნავა, სულაკაძე, გეწაძე, შავგულიძე, მ. მუმლაძე, გუბელაძე

**ოდიში:** აბუსერიძე, კვირტიაში, ზურჩუა, პედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, კუტალია (ჯოჯუა 66), წიტაიშვილი (სიჭინავა 89), ფანცულაია, კალანდაძე

1:0 შავგულიძე (51), 2:0 მუმლაძე (66), 2:1 წიტაიშვილი (83)

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**პირველი მატჩი 1:6**

ზუგდიდში გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ყველაზე გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი ვერ იფიქრებდა „მარგვეთის“ არათუ ნახევარფინალში გასვლას, არამედ მოგებასაც კი. არადა, „მარგვეთმა“ მოიგო. ბუნებრივია, არა ისეთი ანგარიშით, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად რომ ჰყოფნოდა. და მაინც, მისი მოგება ერთგვარი მალამო იყო იმათი ჭრილობისთვის, ვინაც წინასწარ გამოიტირა სამაჩანჩალოდ განწირული „მარგვეთი“.

წინასწარ ვიტყვი, რომ ზესტაფონელებმა საერთო ჯამში არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მათი აქტიური თამაში ზუგდიდელთა პასიურობიდან გამომდინარეობდა. „ოდიშის“ ულიმღამო თამაში ზუგდიდელთა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ასე ახსნა: „თასის ნახევარფინალში ჩვენი გასვლა პირველივე თამაშშივე გადაწყვეტილი იყო, დღევანდელ შეხვედრას სხვა დანიშნულება ჰქონდა. ამიტომაც ჩვენი სუსტი თამაში არ მაშფოთებს, ჩემპიონატის მატჩებში ვაჩვენებთ ჩვენს ნამდვილ ძალას.“

გუშინდელი მატჩის მნიშვნელობაზე დიდად განსხვავებული აზრი არც მარგვეთელებს ჰქონიათ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ზესტაფონელთა რიგებში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები მხოლოდ დაცვაში თამაშობდნენ, შუა და წინა ხაზის შევსება კი 18-19 წლის ახალგაზრდებს მოუწიათ. ალბათ, ამიტომაც მოუნდა „მარგვეთი“ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თამაშის დალაგებას, რაც მხოლოდ მატჩის მიწურულსღა შეძლო.

პირველ ნახევარში ერთადერთი სახიფათო მომენტი მაინც „მარგვეთმა“ შექმნა: გეწაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა აბუსერიძემ ცხრიანიდან კუთხურზე მოიგერია. ეს იყო და ეს. მარგველები ტაიმის ბოლოს სტუმართა კარის მისადგომებს კი მიეძალნენ, მაგრამ შესვენებამ ისე მოუსწროთ, სახეირო არაფერი გამოსვლიათ.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის მიწურულის ლოგიკური გაგრძელება იყო. თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში აბუსერიძეს კვლავ გეწაძის ჯარიმის მოგერიება მოუხდა, თუმცა ამჯერად ყველას 16 წლის ლევან შავგულიძემ დაასწრო და ბურთი კარში მოათავსა.

დაწინაურებამ ზესტაფონელებს ფრთები შეასხა და 15 წუთის განმავლობაში აბუსერიძეს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება. 66-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც მოახერხეს მისი წინააღმდეგობის დაძლევა: მიხეილ მუმლაძემ 20 მეტრიდან გაიტანა.

მეორე გაშვებულმა გოლმა სტუმრები გამოაფხიზლა, მაგრამ სერიოზული საფრთხის შექმნა „მარგვეთის“ კართან მაინც ვერ შეძლეს. მხოლოდ თამაშის მიწურულს ისარგებლეს მასპინძელთა მცველების გულიელობისა და გეწაძის შეუთანხმებელი თამაშით და მშრალი ანგარიშით მარცხს გადაურჩნენ.

ლევან შავგულიძე, პირველად რომ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში, თავისი პირველი გოლით აღფრთოვანებული იყო. ხუმრობა როდია აბუსერიძის დარი მეკარის ძლევა.

**ბესიკ ჯანბაზაძე**
**ზესტაფონიდან**

## კონსილიუმი გორდას შესახებ

3 მარტიდან მოყოლებული დღემდე შეკრებაზე მყოფ „გორდას“ არცერთი ვარჯიში არ ჩაუტარებია. ცოტა არ იყოს, პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: „გორდას“ 15 ფეხბურთელი შეუძლოდაა, ექიმებს კი ვერაფრით დაუდგენიათ, რის გამო დაავადდა მთელი გუნდი გიგლა იმნაძისა და სხვა ხელმძღვანელების გარდა. ზოგი მედიკოსი ყველაფერს გრიპის ეპიდემიას აბრალებს, ზოგიერთი კი ავადმყოფობის მიზეზად მოწამვლას ასახელებს. თუმცა, რუსთაველები, ასე თუ ისე, უკვე მომჯობინდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### XXIII ტური

#### ვიჩენცა 2:0 უდინეზე

16 967 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, ბელოტი, ლოპესი, დ იგნაციო, ოტერო, დი კარლო, ამერინი (მ. როსი 63), მაინი (ვივიანი 79), ბეგეტო (იანუცი 92), მურჯიტა

უდინეზე: ტურჩი, ჰელვეგი, კალორი, ბია, ბერტოტო, ნიკოლი (გარგო 49), როსიტო (ჯანიკედა 35), კაპიოლი, სტროპა (ალ. ორლანდო 68), ბირჰოფი, პოჯი

გოლი: მაინი (36), მურჯიტა (60)

გაფრთხილება: ოტერო, მურჯიტა, ნიკოლი, ჰელვეგი

გაძევება: კალორი (54)

#### ფიორენტინა 3:2 ბოლონია

35 000 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ფირიკანო, ფალკონე, პუშედუ, კანჩელსკისი, კოისი (პიაჩენტინი 46), შვარცი, რუი კოშტა (რობიატი 46), ბატისტუტა, ბაიანო (ოლივეირა 46)

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი, დე მარკი, მანგონე, პარამატი, მაროკი, ბრამბილა, სკაპოლო (კარდონე 71, ბერგამო 82), ნერვო (სკენარდი 61), ანდერსონი, კოლივანოვი

გოლი: ანდერსონი (1), ბაიანო (19 პ), ფირიკანო (25 საკ. კარში), ბატისტუტა (61), რობიატი (79)

გაფრთხილება: პუშედუ, ნერვო, მანგონე, ბრამბილა, კარდონე

გაძევება: შვარცი (81)

#### პერუჯა 1:2 პარმა

21 000 მაყურებელი

პერუჯა: ბუჩი, გორეტი (პიცი 71), დიჩარა, კასტელინი, მატრეკანო, მატერაცი, რუდი (გატუზო 46), ჯუნტი, კრეეკი, ნეგრი, მიულერი (რაპაიჩი 61)

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, სენსინი, ბენარივო, სტანიჩი, ბრავო, დ. ბაჯო, კრიპა, სტრადა, კრესპო

გოლი: გორეტი (11), კრესპო (12), კრიპა (17)

გაფრთხილება: კასტელინი, კრეეკი, რაპაიჩი, სტანიჩი, ბრავო, კრიპა, მუსი

#### ნაპოლი 0:0 მილანი

60 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, ბოლოსიანი, ბალდინი, კოლონეზე, კრასონი, ტურინი (კაზა 59), ბორდინი, ალტომარე, პეკიი (პოლიკანო 66), ბეტო, ალიეტი (ესპოზიტო 79)

მილანი: ს. როსი, კოსტაკურტა, ვერხოვოდი, ბარეზი, კოკო (რაიციგერი 45), სავიჩევიჩი, ალბერტინი, დესაი, ბლომკვისტი (ბობანი 64), ვეა, სიმონე (რ. ბაჯო 69)

გაფრთხილება: პოლიკანო, ვერხოვოდი, ბაჯო

#### კალიარი 0:0 ლაციო

16 000 მაყურებელი

კალიარი: სტერჩელე, პანკარო, ვილა, მინოტი, ბეტარინი, მუცი (სკუპუჯა 67), ბერეტა, სანა, ო ნილი (ლონსტრუპი 67), სილვა, ტოვალიერი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, შამოტი, ფავალი, ბუზო (რამბაუდი 46), ფუზერი, პიოვანელი, ნედვედი, პროტი, სინიორი (გოტარდი 57)

გაფრთხილება: ლონსტრუპი, შამოტი, სილვა

#### ატალანტა 4:0 სამპდორია

21 500 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, ფოლიო, მირკოვიჩი, სოტილი (რუსტიკო 80), კარერა, როსინი, სგრო (ა. კარბონე 77), მორფეო (პერსონი 70), გალო, ინძაგი, ლენტინი

სამპდორია: ფერონი, ბალერი, საკეტი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, კარემბუ, ვერონი (ვერგასოლა 76), ინვერნიცი (სალსანო 70), ლეილი, მონტელა, მანჩინი (კარპარელი 70)

გოლი: ინძაგი (19, 28 პ, 93), მორფეო (68 პ)

გაფრთხილება: მირკოვიჩი, როსინი, სგრო, გალო, ინძაგი, საკეტი, მანჩინი, ინვერნიცი

გაძევება: მიხაილოვიჩი (27)

#### რომა 4:3 ვერონა

49 198 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, თეთრაძე, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, მორიერო (ფონსეკა 63), დი ბიაჯო (დელვეკიო 83), ტომაზი, კარბონი, ბალბო, ტოტი (პივოტო 90)

ვერონა: გუარდალბენი, კავერძანი (ბარონე 82), სივილია, ბრაიკოვიჩი (ვანოლი 54), ფატორი, ორლანდინი, ბაჩი, ფიკადენტი (კოლუჩი 27), ჯუნტა, მანიერო, ძანინი

გოლი: დი ბიაჯო (3), მანიერო (31), კავერძანი (35), კანდელა (44, 89), ტოტი (47), ორლანდინი (61)

გაფრთხილება: დი ბიაჯო, ბალბო, ბაჩი, კოლუჩი, სივილია

#### რეჯანა 0:0 პიაჩენცა

4 500 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, კაინი, ჰაცი, გალი, გრიუნი, პარენტე, საბეუ (ვალენსია 62), მაცოლა, ტონეტო (ლონგი 71), მინეტი (დე ნაპოლი 78), სიმუტენკოვი

პიაჩენცა: ტაიბი, მ. კონტე, ლუჩი, პარი (დელი კარი 63), ტრამეძანი, დი ფრანჩესკო (მორეტი 78), ვალოტი, პინი (ვალტოლინა 69), შიენცა, ლუიზო, ტენტონი

გაფრთხილება: პარენტე, ჰაცი, ტრამეძანი, ტენტონი



ინტერი — იუვენტუსი. სტუმართა ურუგვაელი პაოლო მონტერო მასპინძელთა ფრანგს იური ჯორკაეფს შებმია

#### ინტერი 0:0 იუვენტუსი

77 648 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ანგლომა, პაგანინი, გალანტე, ბერგომი (პისტონე 63), ძანეტი, სფორცა, ფრეზი, ჯორკაეფი, განცი, სამორანო

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი (პორინი 14), ფერარა, მონტერო, დიმაში (ჯულიანო 72), დი ლივიო, დეშამპი, ზიდანი, იუგოვიჩი, ამორუზო (ბოკშიჩი 67), ვიერი

გაფრთხილება: ფრეზი, სფორცა, დი ლივიო, პაგანინი, ვიერი, ამორუზო, ზიდანი

გაძევება: ბოკშიჩი (77)

— თუ მოვიგებთ და „ინტერს“ ათი ქულით გავასწრებთ, ტიტულისთვის ბრძოლიდან საბოლოოდ გამოვთიშავთ. თუ წავაგებთ, ყველაფერი თავიდან დაიწყება, ფრე კი არაფერს შეცვლის — თქვა მარჩელო ლიპიმ მილანში გამგზავრებამდე და დასძინა — ცხადია „სან სიროზე“ დაძაბული მატჩი გველის, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ დღეს იოლი თამაშები აღარ არსებობს, თასზე იქნება ეს თუ პირველობაზე.

„ინტერი“ და „იუვენტუსი“ წლეულს ოთხჯერ დაპირისპირდნენ. თასზე მილანის გუნდმა იძალა — ტურინში 3:0 მოიგო, შინ 1:1 დაასრულა და „ბებერი ქალბატონი“ შეჯიბრებიდან გამოთიშა, ჩემპიონატში სტუმრად 0:2 წააგო, კვირას კი შინ უგოლო ფრეს დასჯერდა.

„ინტერის“ სული და გული, ფრანგი გამთამაშებელი იური ჯორკაეფი წინასწარ ასე ფიქრობდა: „მეტოქე ჩვენზე რთულ მდგომარეობაშია, რადგან რომ წააგოს, თითქოსდა განაღდებულ ჩემპიონობას საეჭვოს გაიხდის, ჩვენ კი, რომც ვერ მოვიგოთ, არაფერი დაგვაკლდება — მეორე ადგილისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტ „პარმასთან“ ერთი კვირის შემდეგ გვიწევს გადამწყვეტი თამაში“. ოპტიმისტურად იყო განწყობილი შავ-ლურჯთა თავდამსხმელი მაურიციო განცი, რომელმაც ბოლო ორ შეხვედრაში „პიაჩენცასთან“ და „ანდერლეხტთან“ (უეფას თასზე) გოლები შეყარა და რიხიანად აცხადებდა: „ჩვენ კარგ ჯანზე ვართ და არც მხნეობა გვაკლია. მართალია „იუვენტუსი“ სრულყოფილი გუნდია, მაგრამ გასული კვირის შუაში, ბრიუსელში, ჩვენს თამაშში ახალი სისხლი აღმოვაჩინე. გული მიგრძნობს, არ გავწბილდებით.“

მილანელები მართლაც არ გაწბილებულან, თუმცა არც ტურინელებს გაუცრუვდათ იმედი, იმ სახიფათო მომენტებს თუ არ ჩავთვლით, რომ ვერ გამოიყენეს. ასეთი წყენა მასპინძლებსაც შეხვდათ, როდესაც მსაჯმა თითქოსდა წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „იუვეს“ გამოჯანმრთელებული ხორვატი ალენ ბოკშიჩი დაუბრუნდა, ოღონდ ვაი ამ დაბრუნებას — შეცვლაზე შესულს ათი წუთი თუ ჰქონდა ნათამაშევი, მასიმო პაგანინს რომ ეუხეშა და წითელი ბარათი აჩვენეს.

— ქულების თვალსაზრისით ტიტულისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ყველაფერი წინაა, მაგრამ შესაძლებლობების გათვალისწინებით „იუვენტუსის“ დაწევა გამორიცხულია — ალალად განაცხადა პერუჯაში გამარჯვებული „პარმას“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ. მისი გუნდის წინსვლა უდავოა, 1997-ში ერთადერთხელ წააგო და ცხრილში უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ, ოღონდ თამაშში პირველი გოლის გაშვებას ვერ გადაეჩვია. ასე იყო კვირასაც, მაგრამ ანჩელოტის ბიჭებმა ძალა მოიკრიბეს და თავიანთი დიდების დროინდელი ხელმძღვანელის ნევიო სკალას „პერუჯას“ სამი გოლით უპასუხეს, რომელთაგან ერთი არბიტრმა არ ჩათვალა.

სული წახდა „სამპდორია“, სამიოდ ტურის წინ „იუვენტუსს“ ჩემპიონობის წართმევით რომ ემუქრებოდა. ბერგამოში თავიდან თანაბარი ფიცხელი თამაში გაჩაღდა, სწრაფი კომბინაციებით და ქუსლური პასებით, სანამ ბომბარდირთა შეჯიბრების ლიდერმა, ატალანტელმა ფილიპო ინძაგიმ კარში შეუჩერებლივ დარტყმის დიდოსტატობა გამოავლინა და ანგარიში გახსნა. ინძაგიმ მალე მეორე გოლიც შეაგდო, მაგრამ მთლად უდრტვინველად ვერ დაარტყა და ალბათ ამიტომაც იყო, მორიგი თერთმეტმეტრიანის შესრულება მორფეომ ცოცხალი თავით რომ არ დაანება. ლამის იჩხუბეს. მორფეოს ჯინაზე, ბოლო წამებზე ინძაგიმ მაინც გამოჭედა თავისი ჰეთ-თრიქი, მეტოქის შვედ მწვრთნელს ერიქსონს კი ალბათ აფიქრებინა, სწორად ვიქცევი, „სამპდორიიდან“ რომ მივდივარო.

ერიქსონი ერთი ხნის წინ თითქოსდა ინგლისურ „ბლექბერნს“ თანხმდებოდა მომავალი სეზონიდან მწვრთნელად დადგომაზე. ინგლისელები წლიურ გასამრჯელოდ მილიონ გირვანქაზე (1,6 მილიონი დოლარი) მეტს სთავაზობდნენ, მაგრამ მოულოდნელად უარი მიიღეს. დაირხა ხმა, შვედი „ლაციოში“ გადადისო, ლაპარაკი „ინტერზეც“ იყო. თავად ერიქსონი ამ თემაზე საუბარს ერიდებოდა. ასევე იქცეოდა „ლაციოს“ ხელმძღვანელობაც, რომელმაც ახლახან ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი გაანთავისუფლა და თავად კლუბის პრეზიდენტი დინო ძოფი გაიმწვრთნელა, მაგრამ შაბათს იტალიურმა „კორიერე დელო სპორტმა“ გამოჩხრიკა, რომ ერიქსონი და „ლაციო“ მორიგებულან. „წუხანდლიდან სვენ გორან ერიქსონი ოფიციალურად გახდა „ლაციოს“ მომავალი მწვრთნელი“ — ეწერა გაზეთის პირველ გვერდზე და მითითებული იყო, რომ კონტრაქტი 1999 წლის 30 ივნისამდე გაფორმდა, წლიური 1,6 მილიარდი ლირას (900 ათასი დოლარი) საფასურად. გამოდის, რომ შვედმა იტალიაში დარჩენა და დაახლოებით 700 ათასი დოლარით ნაკლების მიღება ამჯობინა ინგლისში წასვლას.

„ლაციომ“ ამასობაში 0:0 ითამაშა სარდინიაზე „კალიარისთან“, საძაგელი დაცვისა და ბრწყინვალე თავდასხმის პატრონმა, დედაქალაქისვე „რომამ“ კი (ერიქსონი ერთ დროს ამ გუნდსაც წვრთნიდა) „ვერონას“ 4:3 მოუგო.

ფლორენცია პოლიციელთა შთაგონების წყარო გახდა. ორი კვირის წინ იქაურმა გულშემატკივრებმა „იუვენტუსის“ ავტობუსს ქვები დაუშინეს და ტრიბუნებზე ტურინელ ქომაგებთან ჯგუფური ჩხუბი მოაწყვეს. ამჯერადაც მათი „ფიორენტინას“ სტუმარი ძველი მოსისხლე „ბოლონია“ იყო.

ისტორიიდან: რამდენიმე წლის წინ ფლორენციელებმა ბოლონიელთა მატარებელს ცეცხლოვანი ჟუმბარა ესროლეს, რის გამოც ერთი ყმაწვილი გულშემატკივარი გარდაიცვალა.

კვირას პოლიციელებმა ათასკაციანი რაზმი შემართეს წესრიგის დასაცავად. რაზმი „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე გაფაციცებული იდგა და სტუმართა თანმხლებების ავტობუსებსაც დიდი ყურადღებით მაცილ-მოაცილებდა.

— ჩვენ ვაპირებთ ყოველგვარი ძალადობის აღკვეთას — აცხადება ქალაქის პოლიციის შეფი ფრანჩესკო ფორლეო — თან იმედიც გვაქვს, რომ გულშემატკივართა უმეტესობა გონიერია.

ცემას ბოლონიელები გადაურჩნენ, სამაგიეროდ ვერ გადაურჩნენ ბატისტუტას და რობიატის ბრწყინვალედ შესრულებულ ჯარიმებს, რომელთაც ბაიანოს პენალტთან ერთად გამარჯვება მასპინძლებს მოუტანეს — 3:2.

ნეაპოლში „მილანმა“ ფრე ითამაშა. არიგო საკიმ, ბუნებრივია, რობერტო ბაჯო სასტარტო შემადგენლობაში ახლაც არ ათამაშა, სამაგიეროდ საათნახევრის განმავლობაში უცქირა ტრიბუნაზე გადმოფენილ უშველებელ პლაკატს — „ბაჯო, გადმოდი ნეაპოლში“. შესაძლოა, სეზონის ბოლოს ასეც მოხდეს.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 18 |
| ბალბო (რომა) | 14 |
| მონტელა (სამპდორია) | 14 |
| მანჩინი (სამპდორია) | 13 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 12 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 12 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 23 | 12 | 9 | 2 | 31:15 | 45 |
| პარმა | 23 | 11 | 7 | 5 | 26:22 | 40 |
| ინტერი | 23 | 9 | 11 | 3 | 33:23 | 38 |
| სამპდორია | 23 | 10 | 6 | 7 | 43:34 | 36 |
| რომა | 23 | 9 | 8 | 6 | 37:30 | 35 |
| ბოლონია | 23 | 10 | 5 | 8 | 36:29 | 35 |
| ატალანტა | 23 | 9 | 8 | 6 | 33:27 | 35 |
| ვიჩენცა | 23 | 9 | 7 | 7 | 34:28 | 34 |
| ფიორენტინა | 23 | 7 | 10 | 6 | 32:26 | 31 |
| ლაციო | 23 | 8 | 7 | 8 | 25:24 | 31 |
| ნაპოლი | 23 | 7 | 10 | 6 | 27:30 | 31 |
| მილანი | 23 | 8 | 6 | 9 | 30:28 | 30 |
| უდინეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 30:33 | 28 |
| პიაჩენცა | 23 | 5 | 10 | 8 | 18:28 | 25 |
| პერუჯა | 23 | 6 | 5 | 12 | 28:42 | 23 |
| კალიარი | 23 | 4 | 8 | 11 | 25:38 | 20 |
| რეჯანა | 23 | 2 | 11 | 10 | 22:36 | 17 |
| ვერონა | 23 | 4 | 5 | 14 | 30:50 | 17 |

### სერია B

25-ე ტური: პადოვა — კრემონეზე 2:2, ბრეშია — კოზენცა 2:0, კიევო — ბარი 3:2, ემპოლი — პალერმო 3:1, ლეჩე — ჯენოა 1:0, პესკარა — ჩეზენა 2:2, რავენა — დი სანგრო 1:0, სალერნიტანა — ტორინო 2:1, ვენეცია — ფოჯა 2:1, რეჯინა — ლუკეზე 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 25 | 13 | 7 | 5 | 35:22 | 46 |
| ლეჩე | 25 | 12 | 9 | 4 | 38:28 | 45 |
| პესკარა | 25 | 11 | 9 | 5 | 35:22 | 42 |
| ტორინო | 25 | 11 | 7 | 7 | 35:27 | 40 |
| რავენა | 25 | 11 | 8 | 6 | 32:24 | 38 |
| ემპოლი | 25 | 10 | 8 | 7 | 29:28 | 38 |
| ჯენოა | 25 | 8 | 12 | 5 | 33:18 | 36 |
| კიევო | 25 | 8 | 12 | 5 | 29:26 | 36 |
| ბარი | 25 | 7 | 14 | 4 | 33:24 | 35 |
| ფოჯა | 25 | 8 | 9 | 8 | 25:27 | 33 |
| ვენეცია | 25 | 7 | 10 | 8 | 30:28 | 31 |
| პადოვა | 25 | 6 | 12 | 7 | 28:31 | 30 |
| სალერნიტანა | 25 | 7 | 9 | 9 | 15:24 | 30 |
| რეჯინა | 25 | 6 | 9 | 10 | 26:32 | 27 |
| დი სანგრო | 25 | 7 | 5 | 13 | 15:29 | 26 |
| ლუკეზე | 25 | 5 | 10 | 10 | 18:27 | 25 |
| პალერმო | 25 | 4 | 12 | 9 | 16:35 | 24 |
| კრემონეზე | 25 | 5 | 9 | 11 | 16:29 | 24 |
| ჩეზენა | 25 | 4 | 11 | 10 | 22:29 | 23 |
| კოზენცა | 25 | 5 | 8 | 12 | 25:35 | 23 |

## ესპანეთი

### XXVIII ტური

#### ბეტისი 3:2 ატლეტიკო

0:1 ესნაიდერი (28), 1:1 ალფონსო (38), 2:1 ალფონსო (55), 2:2 ჟუდაკაკევიჩ (70 საკ. კარში), 3:2 ალფონსო (90)

#### ერკულესი 1:0 ვალეკანო

1:0 ალფარო (23)

#### დეპორტივო 3:0 ოვიედო

1:0 რეინალდო (38), 2:0 მარტინსი (43), 3:0 რეინალდო (82)

#### სელტა 2:2 ესპანიოლი

0:1 დელ სოლარი (30 საკ. კარში), 1:1 მოსტოვოი (44), 1:2 ლარდინი (60), 2:2 ალეხო (62)

#### ესტრემადურა 1:0 სოსიედადი

1:0 დურე (7)

#### ბილბაო 2:2 სარაგოსა

0:1 პოიეტი (18), 1:1 ეჩებერია (21), 2:1 კარანკა (33), 2:2 პოიეტი (90)

#### ვალიადოლიდი 0:2 ტენერიფე

0:1 ხუანელე (30), 0:2 პინილა (44)

#### ბარსელონა 3:0 კომპოსტელა

1:0 ბლანი (5), 2:0 სტოიჩკოვი (25), 3:0 რონალდო (62)

#### სპორტინგი 2:0 ლოგრონიესი

1:0 ჩერიშევი (40), 2:0 მარკოს ვალესი (57)

#### ვალენსია 4:2 სევილია

1:0 გალვესი (5), 1:1 ცარტასი (34), 2:1 ორტეგა (45), 2:2 გალვანი (69), 3:2 ლეანდრო (90), 4:2 ორტეგა (94)

ანგარიშსაც ეტყობა. „ბეტისის“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრა ერთიორად მძაფრი იმან გახადა, რომ მომავალი სეზონიდან ახალ, „გასუქებულ“ ჩემპიონთა ლიგაში რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის ესპანეთი, ორ გუნდს მიავლენს. ასე რომ, წლეულს ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლა ის აღარაა, შარშან რაც იყო, გაცილებით მეტია.

„ბეტისის“ ალფონსომ, როგორც ჩანს, ეს ძალიან კარგად უწყის და ევროპული მასშტაბით თავის მოწონებაც ისე უნდა, რომ ბოლო წამებამდე არ მოისვენა, ჰეთ-თრიქი შეასრულა და სამი სასწაულებრივი ქულა მოიპოვა.

სხვა, საგანგებოდ აღსანიშნავი ის გახლავთ, რომ „ვალენსიას“ მიერ „სევილიას“ ძლევაში ორგოლიანი წილი დებიუტანტმა, არგენტინის ნაკრების მოთამაშემ არიელ ორტეგამ დაიდო. ორტეგა ესპანეთს გასული კვირის დასაწყისში გადაბარგდა „რივერ პლეიტიდან“. დებიუტანტმა ორივე ტაიმში დამთავრების პირას გაიტანა გოლები. პირველის ბოლოს ლამის დაკარგულ ბურთს მიჰკრა და ბადეში ამოაყოფინა თავი, მეორეში კი თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 27 | 18 | 8 | 1 | 59:22 | 62 |
| ბარსელონა | 28 | 17 | 5 | 6 | 70:37 | 56 |
| ბეტისი | 28 | 16 | 8 | 4 | 60:32 | 56 |
| დეპორტივო | 28 | 14 | 11 | 3 | 43:23 | 53 |
| ატლეტიკო | 27 | 14 | 7 | 6 | 53:34 | 49 |
| სოსიედადი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:30 | 45 |
| ტენერიფე | 27 | 12 | 6 | 9 | 47:28 | 42 |
| ბილბაო | 28 | 10 | 12 | 6 | 48:38 | 42 |
| ვალიადოლიდი | 28 | 11 | 7 | 10 | 35:32 | 40 |
| ვალენსია | 28 | 11 | 6 | 11 | 40:37 | 39 |
| რასინგი | 27 | 9 | 11 | 7 | 31:28 | 38 |
| სელტა | 28 | 8 | 10 | 10 | 33:36 | 34 |
| ოვიედო | 28 | 8 | 8 | 12 | 34:43 | 32 |
| სპორტინგი | 28 | 8 | 8 | 12 | 30:43 | 32 |
| კომპოსტელა | 28 | 8 | 7 | 13 | 28:49 | 31 |
| რაიო | 28 | 8 | 6 | 14 | 28:39 | 30 |
| სარაგოსა | 28 | 6 | 11 | 11 | 35:46 | 29 |
| ესტრემადურა | 28 | 7 | 8 | 13 | 22:40 | 29 |
| ლოგრონიესი | 28 | 8 | 4 | 16 | 24:55 | 28 |
| ესპანიოლი | 28 | 7 | 6 | 15 | 31:44 | 27 |
| ერკულესი | 28 | 6 | 4 | 18 | 24:53 | 22 |
| სევილია | 28 | 6 | 3 | 19 | 25:49 | 21 |

## ავსტრია

მე-20 ტური. რაპიდი — აუსტრია 3:0, ლინცერი — ზალცბურგი 0:0, რიედი — კაზინო 3:0, შტურმი — ტიროლი 1:1, ადმირა ვაკერი — ლინცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 20 | 12 | 7 | 1 | 45:17 | 43 |
| ზალცბურგი | 20 | 11 | 7 | 2 | 28:9 | 40 |
| ტიროლი | 20 | 8 | 6 | 6 | 31:24 | 30 |
| ლინცერი | 20 | 6 | 9 | 5 | 20:21 | 27 |
| აუსტრია | 20 | 8 | 3 | 9 | 23:34 | 27 |
| შტურმი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:22 | 23 |
| კაზინო | 20 | 4 | 8 | 8 | 21:29 | 20 |
| რიედი | 20 | 6 | 2 | 12 | 25:38 | 20 |
| ლინცი | 20 | 4 | 7 | 9 | 12:23 | 19 |
| ადმირა ვაკერი | 20 | 4 | 7 | 9 | 20:32 | 19 |

იყიდება

ირანული გაზის ბალონების ფითილები და შუშები საბითუმო ფასებში.

ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში

## საფრანგეთი

### XXVIII ტური

**მონაკო 0:0 ოსერი**

**პარი სენ ჟერმენი 3:1 ლიონი**

0:1 ბარდონი (10), 1:1 რაი (47), 2:1 ლოკო (87), 3:1 რაი (88)

**მონპელიე 0:0 რენი**

**გინგამი 3:1 მარსელი**

1:0 მიშალი (3), 2:0 მიშალი (35), 2:1 ლიბრა (53), 3:1 კარნო (58)

**კანი 0:0 მეცი**

**ნანსი 1:0 ნიცა**

1:0 კასკარინო (52)

**ლანსი 0:1 ლე ავრი**

0:1 ბოლი (29)

**კაენი 1:0 ლილი**

1:0 ნვე (1)

**სტრასბური 1:1 ბორდო**

0:1 პაპენი (19 პ), 1:1 ზიტელი (29)

**ნანტი 3:0 ბასტია**

1:0 ნდორამი (14), 2:0 გურვენკო (21), 3:0 ხულიში (52)

13 ნოემბერი იყო, „პარი სენ ჟერმენმა" შინ ბოლოჯერ რომ გაიმარჯვა. იმ დღეს პარიზელებმა „ლილს" აჯობეს 3:1, მას მერე კი ნავსიანი დროება დაუდგათ და ყოველი თამაშის შემდეგ მხოლოდდამხოლოდ გულშემატკივართა დოლების საპროტესტო ბრაგუნს ისმენდნენ. „სენ ჟერმენის" შავი ხანა დეკემბერში „ნანსისთან" მარცხით დაიწყო. შემდეგ კალაპოტიდან ამოვარდნილი გუნდი პირდაპირ „იუვენტუსს" ჩაუვარდა ხახაში — 1:6, კვირას კი თითქოს ნავსი გატყდა. „პარკ დე პრენსზე" „ლიონი" იყო სტუმრად. მეათე წუთზე მომხდურთა თავდამსხმელმა სედრიკ ბარდონმა ანგარიში გახსნა. ყველაფერი ისე დოლის ცემას მოასწავებდა, მაგრამ მეორე ტაიმში საქმე გამოსწორდა — ლეონარდოს კუთხურიდან კაპიტანმა რაიმ ივარგა. თამაშის მიწურულს, ბოლო სამ წუთში, მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს.

პარიზში მატჩის დამთავრება და მონაკოში დაწყება ერთი იყო. ახლანდელი ლიდერი ძველ ჩემპიონ „ოსერს" მასპინძლობდა. თამაშამდე ოსერელთა თავდამსხმელი ლილიან ლასლანდი ამბობდა: „ვფიქრობ, დროა ჩვენი მუშაობა შედეგს დაეტყოს. მონაკოში მეტისმეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, უპირველესად იმიტომ, რომ ვალდებულნი ვართ ყველას ვაჩვენოთ — ძალები აღვიდგინეთ და ძველებურად ავთამაშდით".

მართლაც, სტუმართა მონდომებამ ლამის საუკეთესო შედეგი გამოიღო. „მონაკო" რომ არ დამარცხდა, იღბალს უნდა უმადლოდეს, რადგან ზემოხსენებულ ლასლანდს ორჯერ გაუცუდდა მიზანი.

„ნანტმა" ათკაციან „ბასტიას" 3:0 აჯობა. სტუმრები კაცნაკლულად 23-ე წუთზე დარჩნენ, როდესაც მათმა ხლოვაკმა ნახევარმცველმა ლუბომირ მორავჩიკმა მაკელელეს წინააღმდეგ ერთობ იუხეშა. მასპინძლებსაც მეტი რა უნდოდათ და თუკი დიდი ანგარიშით მოგებას არწაგება შეიძლება ვუწოდოთ, ზედიზედ 21-ე თამაში არ წააგო. მე-14 წუთზე იაფეტ ნდორამმა საკუთარი სეზონური მონაგარი 15 გოლამდე გაზარდა, რასაც ჟოსელინ გურვენეკმა მალე თავისი მეათე დაამატა, მეორე ნახევარში კი ტუნისელმა ადელ სელიმიმ ანგარიში საბოლოო გახადა. ეს გოლი სელიმისთვის პირველი იყო ახალ გუნდში, სადაც სეზონის დასაწყისში ტუნისის კლუბ „აფრიკაინიდან" გადავიდა. „ბასტიას" თავკაცი ფრედერიკ ანტონეტი, ცხადია, უკმაყოფილო იყო: „ფეხბურთელები მსაჯთან დაუსრულებლად კამათობდნენ. გამოცდილი მორავჩიკისგან კი ასეთ ალმაშფოთებელ ქცევას არ ველოდი". მორავჩიკი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოედანს ახალდაბრუნებული გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 28 | 16 | 8 | 4 | 48:22 | 56 |
| პსჟ | 28 | 14 | 10 | 4 | 42:22 | 52 |
| ბასტია | 27 | 14 | 6 | 7 | 38:29 | 48 |
| სტრასბური | 28 | 15 | 2 | 11 | 40:37 | 47 |
| ბორდო | 28 | 12 | 10 | 6 | 44:30 | 46 |
| ნანტი | 28 | 11 | 12 | 5 | 48:26 | 45 |
| ოსერი | 28 | 11 | 10 | 7 | 32:21 | 43 |
| მეცი | 28 | 11 | 10 | 7 | 30:23 | 43 |
| მარსელი | 28 | 9 | 10 | 9 | 31:30 | 37 |
| გინგამი | 28 | 9 | 10 | 9 | 26:26 | 37 |
| ლიონი | 28 | 9 | 10 | 9 | 36:42 | 37 |
| მონპელიე | 28 | 7 | 12 | 9 | 24:27 | 33 |
| რენი | 28 | 9 | 6 | 13 | 30:38 | 33 |
| კანი | 28 | 7 | 11 | 10 | 16:25 | 32 |
| ლე ავრი | 28 | 7 | 10 | 11 | 25:32 | 31 |
| ლანსი | 28 | 8 | 6 | 14 | 29:42 | 30 |
| ლილი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:44 | 30 |
| კაენი | 27 | 5 | 10 | 12 | 23:33 | 25 |
| ნანსი | 28 | 6 | 7 | 15 | 23:36 | 25 |
| ნიცა | 28 | 4 | 7 | 17 | 22:49 | 19 |

## გერმანია

### XXI ტური

**ბოხუმი 0:1 შალკე**

0:1 აიგენრაუხი (70)

**ჰანზა 0:0 კიოლნი**

**ფრაიბურგი 1:2 დორტმუნდი**

1:0 ვახმერი (24), 1:1 ტანკო (26), 1:2 ცორკი (86 პ)

**შტუტგარტი 4:1 ჰამბურგი**

1:0 ელბერი (3), 1:1 ჰარტმანი (9), 2:1 ვერლაატი (35), 3:1 ბობიჩი (37), 4:1 ელბერი (70)

**მიონხენგლადბახი 4:1 ვერდერი**

1:0 დალინი (29), 2:0 იუსკოვიაკი (53), 3:0 იუსკოვიაკი (55), 3:1 ლაბადია (75), 4:1 პეტერხონი (90)

**ზანქტ პაული 2:4 კარლსრუე**

0:1 კირიაკოვი (3), 1:1 შარპინგი (14), 2:1 აიგნერი (20), 2:2 შუსტერი (43), 2:3 შროტი (83), 2:4 კარლი (88)

**დუისბურგი 0:0 არმინია**

**მიუნხენი 3:0 ფორტუნა**

1:0 ბენდერი (52), 2:0 კურნი (85), 3:0 ვინკლერი (90)

**ლევერკუზენი 5:2 ბაიერნი**

1:0 ხერცოგი (5), 2:0 რიდლევსკი (37), 3:0 ფელდჰოფი (43), 3:1 ნერლინგერი (64), 3:2 ბასლერი (71), 4:2 ფელდჰოფი (80), 5:2 ფელდჰოფი (84)

დორტმუნდის „ბორუსია" ამ გამარჯვებით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. დორტმუნდელთა ძირითადმა კონკურენტმა მიუნხენის „ბაიერნმა" მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლო, შემდეგ კი მასპინძელმა ფელდჰოფმა ერთ მანამდე გატანილს ორიც დაამატა და „ბაიერნის" განადგურებას წერტილი დაუსვა.

„შტუტგარტმაც" დიდი ანგარიშით მოუგო „ჰამბურგს", სადაც არაჯანსაღი ატმოსფერო სუფევს. პარასკევს ნახევარმცველმა მარკუს შუპმა განაცხადა, ჩვენი უხეირო თამაშის თავი და თავი მწვრთნელი ფელიქს მაგათია — მოედანზე გასვლის ხალისი დავკარგეთ, ახალგაზრდებს კი შიშის ზარს სცემსო.

მას შემდეგ რაც მარტინ დალინმა წლეულს სამჯერ ძელს მოარტყა ბურთი, როგორც იქნა, მოახერხა გოლის გატანა. შვედის თანაგუნდელმა პოლონელმა იუსკოვიაკმა კი ორჯერ აიღო ბრემენელთა კარი. მეორე წრის ბომბარდირთა სიას სწორედ იგი თავკაცობს ხუთი გატანილი ბურთით.

„კაიზერსლაუტერნს" სამი ძირითადი მოთამაშე, მათ შორის შონ დანდი აკლდა ტრავმის გამო, მაგრამ ოთხჯერ მაინც გაიტანა. მასპინძელთა ანდრე ტრიულსენმა სეზონის რეკორდი დაამყარა — მეცხრე ყვითელი ბარათი მიიღო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 21 | 13 | 4 | 4 | 45:23 | 43 |
| ბაიერნი | 21 | 12 | 7 | 2 | 38:22 | 43 |
| ლევერკუზენი | 21 | 12 | 5 | 4 | 45:27 | 41 |
| შტუტგარტი | 21 | 11 | 5 | 5 | 46:23 | 38 |
| კარლსრუე | 21 | 9 | 6 | 6 | 36:25 | 33 |
| კიოლნი | 21 | 10 | 3 | 8 | 36:32 | 33 |
| შალკე 04 | 21 | 9 | 6 | 6 | 27:26 | 33 |
| ვერდერი | 21 | 8 | 5 | 8 | 34:34 | 29 |
| ბოხუმი | 20 | 7 | 8 | 5 | 26:27 | 29 |
| მიუნხენ 1860 | 21 | 7 | 6 | 8 | 34:38 | 27 |
| არმინია | 21 | 7 | 5 | 9 | 26:33 | 26 |
| ჰამბურგი | 21 | 6 | 6 | 9 | 30:34 | 24 |
| დუისბურგი | 21 | 6 | 6 | 9 | 20:29 | 24 |
| გლადბახი | 21 | 6 | 5 | 10 | 19:25 | 23 |
| ფორტუნა | 21 | 6 | 4 | 11 | 16:31 | 22 |
| ზანქტ პაული | 20 | 5 | 4 | 11 | 25:39 | 19 |
| ჰანზა | 21 | 4 | 6 | 11 | 21:29 | 18 |
| ფრაიბურგი | 21 | 4 | 1 | 16 | 21:48 | 13 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-20 ტური. მეპენი — ცვიკაუ 3:0, უნტერჰახინგი — ლიუბეკი 0:0, კოკერსი — ოლდენბურგი 5:0, კარლ ცაისი — კაიზერსლაუტერნი 2:2, ურდინგენი — როტვაისი 1:0, მაინცი — გიუტერსლო 3:0, ჰერტა — ფორტუნა (კიოლნი) 4:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ სლაუტერნი | 20 | 10 | 8 | 2 | 36:13 | 38 |
| ჰერტა | 20 | 11 | 4 | 5 | 33:20 | 37 |
| მეპენი | 20 | 8 | 8 | 4 | 28:24 | 32 |
| მაინცი | 20 | 8 | 7 | 5 | 32:24 | 31 |
| ვოლფსბურგი | 19 | 7 | 9 | 3 | 22:13 | 30 |
| უნტერჰახინგი | 20 | 5 | 14 | 1 | 17:13 | 29 |
| ურდინგენი | 20 | 8 | 4 | 8 | 32:24 | 28 |
| კიკერსი | 20 | 7 | 7 | 6 | 27:21 | 28 |
| ფორტუნა | 20 | 7 | 6 | 7 | 37:28 | 27 |
| კარლ ცაისი | 20 | 6 | 9 | 5 | 28:28 | 27 |
| ლაიპციგი | 19 | 7 | 6 | 6 | 31:32 | 27 |
| გიუტერსლო | 20 | 7 | 5 | 8 | 24:29 | 26 |
| მანჰაიმი | 19 | 6 | 5 | 8 | 29:33 | 23 |
| აინტრახტი | 19 | 6 | 4 | 9 | 26:29 | 22 |
| ცვიკაუ | 20 | 6 | 4 | 10 | 19:29 | 22 |
| ლიუბეკი | 20 | 3 | 8 | 9 | 16:33 | 17 |
| როტ ვაისი | 20 | 5 | 2 | 13 | 23:43 | 17 |
| ოლდენბურგი | 20 | 4 | 4 | 12 | 22:46 | 16 |

**ჰოლანდიელი** პიერ ვან ჰუიდონკი შესაძლოა გლაზგოს „სელტიკიდან" პრემიერლიგის „ნოტინგემში" გადავიდეს. ტრანსფერის სავარაუდო თანხად ოთხნახევარ მილიონ გირვანქას ასახელებენ. ინგლისური კლუბი მაღალი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის და მისი ხელმძღვანელობა ჰუიდონკის იმედადაა. „ნოტინგემმა" ბოლო შვიდ შეხვედრაში ერთი გოლი შეაგდო.

**ტაილანდის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 2:0 სძლია ჰონკონგს და შეინარჩუნა საფრანგეთში წასვლის შანსი. წინა კვირას ტაილანდმა შინ 1:3 წააგო სამხრეთ კორეასთან და მთელი ჯავრი ახლა იყარა. მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა თითო-ოროლა შეტევა განახორციელეს.



ტაილანდისა და ჰონკონგის მატჩი

**პორტუგალიის** თასის გათამაშების მეექვსე წრის რამდენიმე მატჩი კვირას გაიმართა: სალგეიროში — პორტუ 2:3, ბოავიშტა — ინფესტა 2:0, ეშტრელა — სანდინენსეში 1:2, პორტიმონენსე — ეშტორილი 2:3, სეტუბალი — ბრაგა 1:2, ბენფიკა — დეპორტივო ავეში 3:1.

**ავსტრიის** კლუბის „ადმირა ვაკერის" მეკარემ ფრანც გრუბერმა ხუთსაათიანი ოპერაცია გადაიტანა. „ლინცერის" მცველ გიუნტერ ზელერთან შეჯახებისას გრუბერს ცხვირი გაუტყდა, შუბლი გაუსკდა და რამდენიმე ძვალიც ჩაემსხვრა. კლუბის წარმომადგენლის თქმით, გრუბერი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

**შოტლანდიაში** გაიმართა თასის და ჩემპიონატის მატჩები. თასის მეოთხედფინალში სამი მატჩი ჩატარდა: დანდი იუნაიტედი — მოზერველი 4:1, ფალკირკი — რეით როვერსი 2:0, გრინოკი — კილმარნოკი 2:5. ჩემპიონატის შეხვედრაში „ჰიბერნიანმა" რაიტის მიერ მე-11 წუთზე შეგდებული გოლით 1:0 მოუგო „დანფერმლაინს".

**ჩინეთში** გაიმართა ქვეყნის სუპერთასის მატჩი. პროფესიული ლიგის ჩემპიონმა „დეილიან უანდამ" 3:2 დაამარცხა ასოციაციის თასის მფლობელი „ბიჯინგ გუენი".

**იუგოსლაველი** ბორა პრიმორაცი ითანამშრომლებს ლონდონის „არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერთან. პრიმორაცი რამდენიმე ხნის წინ ლონდონური კლუბის სათადარიგო შემადგენლობის მწვრთნელ პეტრაისს ეხმარებოდა, ამ კვირიდან კი პირველ გუნდში იმუშავებს. ეს ვენგერ-პრიმორაცის პირველი თანამშრომლობა არ არის. გასულ წელს, იაპონიის „ნაგოია გრამპუს ეითში" ვენგერის მოღვაწეობისას პრიმორაცი ფრანგ მწვრთნელს მხარში ედგა.

**ალბანეთის** ნაკრების მოთამაშე ლუკტე მილო შაბათს საბერძნეთში მომხდარ ავტოავარიას შეეწირა. 31 წლის მილო ბოლო ხუთი წელი ბერძნულ „ლარისაში" თამაშობდა და აღსასრულიც იქვე ჰპოვა. აქვე ვტყვით, რომ ფიფას განცხადებით, ალბანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს უკრაინასა და გერმანიის წინააღმდეგ ესპანეთის ქალაქ გრანადაში ჩაატარებს.

**ინგლისის** მესამე დივიზიონის მატჩი „ბრაიტონსა" და „ლეიტონს" შორის ხუთი წუთით შეწყდა. ანგარიში 3:4 იყო, რომ მასპინძელთა გულშემატკივარი მინდორზე გავარდა და „ბრაიტონის" კარში მეოთხე გოლის გამტან სკოტ მაკგლიშს გვარიანად უთავაზა. ამ ვაი-გულშემატკივარს კიდევ ორი თანამოაზრე გამოუჩნდა, რომლებმაც იგივეს გაკეთება მოიწადინეს, მაგრამ პოლიციამ იმარჯვა და ხულიგნობა აღკვეთა.

**ჰოლანდიელმა** რუუდ გულიტმა შაბათს ფეხი მოიტეხა და, როგორც თავად თქვა, აღარ ითამაშებს ამ სეზონში. გულიტმა განაცხადა, ერთადერთი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, ისაა, რომ დღეიდან უფრო გულდასმით მოვკიდები მწვრთნელობასო.

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** ნაკრებისა და „კარლსრუეს" მოთამაშის თომას ჰესლერის ტრავმა ისეთი სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორც ექიმებს ეგონათ. მათი განცხადებით, 30 წლის ჰესლერს თამაში აპრილის შუა რიცხვებში შეეძლება, სწორედ იმ დროს, როცა „კარლსრუე" გერმანიის თასის გათამაშების ნახევარფინალში რეგიონალლიგის „ენერგი კოტბუსი" შეხვდება.

**გერმანული** კლუბის მიუნხენის „ბაიერნის" 23 წლის მოთამაშეს დიტმარ ჰამანს საავადმყოფოში დარჩენა მოუწევს. კლუბის ექიმმა მარკუს ჰერვეკმა ახალგაზრდა ფეხბურთელს სხეულის მარცხენა მხარეს დამბლის ნიშნები შეამჩნია. ექიმების თქმით, იმის წინასწარი განსაზღვრა, ითამაშებს თუ არა ჰამანი ფეხბურთს, ძნელია.

**ბელგიის** ყველაზე ტიტულოვან კლუბს „ანდერლეხტს" „აალსტთან" 3:0 მოგებული შეხვედრის გადათამაშება მოუწევს. არბიტრმა უხეშობისთვის ჟილ დე ბილდე გააძევა, ამან კი გასვლა არ ისურვა და თამაში განაგრძო. მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, მაგრამ მატჩის ვიდეოჩანაწერმა ფეხბურთელი ამხილა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, დე ბილდეს სასჯელი ელის.

**აფრიკის** კონტინენტზე გაიმართა ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასის და აფრიკის კონფედერაციის თასის მატჩები. შავი კონტინენტის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები ასე დასრულდა: აფრიკა სპორტი (კოტ დივუარი) — ასკოტი (ჩადი) 3:0, უნისპორტ ბაფანგი (კამერუნი) — მუნისპორტი (კონგო) 2:0, გოლდფილდსი (განა) — იანგ პროფესიონალზი (ლიბერია) 3:1, კოტონსპორტი (კამერუნი) — დრაგონსი (ეკვატორული გვინეა) 5:0, უდოჯი იუნაიტედი (ნიგერია) — კალიუმი (გვინეა) 3:1, რაჯა კასაბლანკა (მაროკო) — სონასისი (სენეგალი) 3:1. აფრიკის თასების მფლობელთა თასი: კლუბ აფრიკანი (ტუნისი) — დოლიბა (მალი) 3:2, ეტოილ ფილანტე (ბურკინა ფასო) — ეტოილ საჰელი (ტუნისი) 3:0, სკაუტსი (მავრიკეთი) — სენტ ლუიზიანა (რეიონის კუნძ.) 2:1. აფრიკის კონფედერაციის თასი: ესპერანსი (ტუნისი) — ასკო კარა (ტოგო) 7:0, აშანტე კოტოკო (განა) — მენგასპორტი (გაბონი) 2:0.

**საფრანგეთის** თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრამ კვირას გუნდები ასე დააწყვილა: კლერმონ ფირენი — ნიცა, ლავალი — ტრუა, კრეტეილი — გინგამი, ბორდო — მონპელიე. მატჩები 29 მარტს გაიმართება.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბ „ნიუკასლის" მწვრთნელ კენი დალგლიშსა და ფრანგ დავიდ ჟინოლას შორის ურთიერთობა დაიძაბა. იქაური პრესის ცნობით, ჟინოლამ რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა, მიზეზად თვალის ტკივილი დაასახელა. ბოლოს ფრანგი იმდენად გაკადნიერდა, რომ მოთამაშეებთან საუბრისას მწვრთნელს ხელს უშლიდა და შენიშვნის ... პრესის აზრით, ჟინოლამ შესაძლოა ... თუმცა ... ჟინოლას ჩემთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიაო.

**სამხრეთ ამერიკაში** გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების რამდენიმე შეხვედრა. პირველი ჯგუფი: ბოლივარი (ბოლივია) — სერო პორტენო (პარაგვაი) 3:1. მეოთხე ჯგუფი: სპორტინგ კრისტალი (პერუ) — გრემიო (ბრაზილია) 1:0. მეხუთე ჯგუფი: პენიაროლი (ურუგვაი) — მილიონარიოსი (კოლუმბია) 2:1.

**არგენტინის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აპრილში ბოლივიას ეთამაშება სტუმრად. ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ გაითვალისწინა ბოლივიის დედაქალაქ ლა პასის მდებარეობა (ქალაქი ზღვის დონიდან 3600 მეტრზეა) და საწვრთნელი ბანაკი ლა კიაჩაში, არგენტინის ანდებში მოაწყო. ნაკრებში პასარელამ არგენტინაში მოთამაშე ფეხბურთელებს უხმო, ხუთ ლეგიონერს კი მატჩამდე ათი დღით ადრე გამოიძახებს. ლა-კიაჩაში იმყოფებიან: მეკარეები — იგნასიო გონსალესი (რასინგი), კარლოს როა (ლანუსი), მცველები — ერნან დიასი, ხუან სორინი (ორივე რივერ პლეიტი), ნელსონ ვივასი, მაურიციო პინედა (ორივე ბოკა ხუნიორსი), კარლოს გალვანი (რასინგი), პაბლო როჩენი (ინდეპენდიენტე), ნახევარმცველები — გუსტავო საპიტა, ნესტორ გოროსიტო (სან ლორენსო), მარსელო ეჩერა, კრისტიან ბასედასი (ველესი), ხულიო სალდანო (ნიუელს ოლდ ბოიზი), დიეგო სენია (ბოკა ხუნიორსი), ანდრეს ილენა (ხიმნასია ლა პლატა), უგო მორალესი (ლანუსი), ანხელ მორალესი (ინდეპენდიენტე), თავდამსხმელები — მარსელო დელგადო (რასინგი), მარტინ პოსე (ველესი), კლაუდიო ბიაჯო (სან ლორენსო), ხოსე კალდერონი (ინდეპენდიენტე), ხულიო კრუზი (რივერ პლეიტი).

**გერმანიის** კლუბ „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა სასტიკად გააკრიტიკა კლუბის მწვრთნელები „ლევერკუზენთან" 2:5 წაგების გამო. კაიზერმა უპასუხისმგებლობაში ბრალი დასდო მწვრთნელებს და მოთამაშეებს, რომლებიც ვერ ხედავენ კლუბის ხელმძღვანელობის ძალისხმევას, უმაღლეს დონეზე აიყვანოს გუნდი. თუ ასეა, სიტუაცია გამოსასწორებელია, ამბობს ბეკენბაუერი. გავრცელდა ხმები, რომ „ბაიერნის" კიდევ ერთ დამარცხებას შეიძლება ტრაპატონის წასვლა მოჰყვეს.


**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მოაკითხეთ „ელიტა — ხკ"-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — ხკ"-ს.

„ელიტა — ხკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა ხკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25



# ბავშვთა კვება



**Gerber**

## ახალი სიცოცხლის უშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

☎ 39-47-83

# ვარდება, ორივე თასი კი სურს

## ინგლისი

### XXIX ტური

**არსენალი 2:0 ნოტინგემი**

**არსენალი:** ლუკიჩი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, პლატი, მერსონი, ბერგკამპი, კიოუნი, მარშალი, ჰიუზი (მოროუ 81)
**ნოტინგემი:** კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, ჯემილი, სონდერსი, იერკანი, ჰაალანდი, კლაფი (როი 73)

ნოტინგემელებმა ვეღარ დააღწიეს თავი გაჭიანურებულ კრიზისს. „შეფილდ უენსდეისთან" დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ სტუმრებმა „არსენალთანაც" ვერაფერი იღონეს. კროსლი რომ არა, ლონდონელები ისეთივე ანგარიშით მოუგებდნენ „ნოტინგემს", როგორითაც „შეფილდი". საათნახევრის განმავლობაში სტუმრებმა სამჯერ იძალეს, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს, მასპინძლები კი კროსლის კარს არ მოშორებიან. „არსენალის" უპირველესი ბომბარდირის იან რაიტის არყოფნაში ბერგკამპმა გაიელვა და გოლების გარდა პასებიც უხვად არიგა. მეორე ტაიმში „არსენალის" მიერ მოპოვებული უპირატესობა შედეგზეც აისახა. ჯერ მფრინავმა ჰოლანდიელმა ვიეირას პასით შეაგდო. თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კი მასპინძელი ჰაალანდი ბერგკამპს ეუხეშა, მსაჯს ეს არ გამოეპარა და პენალტი დანიშნა. დაზარალებულმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

**ქოვენთრი 0:0 ლესტერი**

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, დაბლინი, ევტუშოკი, ბრინი, შოუ, ტელფერი (სალაკო 46; ნდლოვუ 70), რიჩარდსონი, ჯესი (ბოროუზი 85), მაკალისტერი, ველანი, ჰაკერბი
**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, უოტსი, უოლში, ელიოტი, იზეტი, ლენონი, პარკერი, ჯაპი, ჰესკი (ტეილორი 51), რობინსი (ლოურენსი 60)

„ქოვენთრი" ბოლო 30 წელიწადია პრემიერლიგაში ბინადრობს, წელს კი გავარდნა დაემუქრა. მართალია, კლუბის დაცვა ასე თუ ისე ირჯება, მაგრამ ფორვარდები უმაქნისნი არიან. ეს შეხვედრაც, მასპინძელთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, მაინც ფრედ დასრულდა. განსაკუთრებით ჰაკერბი დაითარსა — ამდენი მომენტის გაცუდება მართლაც რომ გასაკვირია. მე-14 წუთზე მეკარესთან პირისპირაც კი იყო გასული, მაგრამ ვერ იხეირა. 67-ე წუთზე შეცვლაზე შესულ ტეილორს „ლესტერის" დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ჯაპის გამოზომილი პასი ვერ შეიფერა.

**ლიდსი 1:0 ევერტონი**

**ლიდსი:** მარტინი, პალმერი, უეზეროლი, შარპი, რაში, დინი, ბოუერი, ჰოლი, ჰერტი, იებოა, მოლენაარი
**ევერტონი:** საუთოლი, ბარეტი, ანსუორთი, უოტსონი, ფელანი, ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი (ბრენჩი 60), ტომსენი, პარკინსონი (სტიუარტი 7), შორტი (რიდოუ 83)
**გოლი:** მოლენაარი (28)

ლივერპულელები ჩემპიონატში მეთორმეტედ დამარცხდნენ. ამ ჩემპიონატში „ლიდსი" მაღალი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის. მართალია, ცოტა გააქვს, მაგრამ თავად მარტინის კარში გოლი იშვიათი სანახავია. ახლაც „ლიდსი" მინიმალური მოგებით დაკმაყოფილდა, არადა, კლუბის მწვრთნელის ჯორჯ გრემის „არსენალში" მუშაობისას ლონდონელები შესაშური შედეგიანობით გამოირჩეოდნენ. ტაიმის შუაში მოლენაარმა გადამწყვეტი შეაგდო, რაც „ვოლენდამიდან" პრემიერლიგაში გადასვლის შემდეგ მისი პირველი გოლია. მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბევრი საუთჰოლი ფხიზლად იყო. სუსტად გამოიყურებოდა იებოა, ალბათ ამიტომაც იყო, რომ არაფრით გამოუჩენია თავი. თამაში ხეირიანად არ გახურებულიყო, რომ პარკინსონი დაშავდა და შეცვალეს. შეხვედრის მიწურულს, სანამ გამოცვლიდნენ, შორტმა მოასწრო, პენალტის ნიშნულიდან აეცილებინა. მატჩის შემდეგ ხმა დაირხა, სტუმართა მწვრთნელი ჯო როილი ვესტჰემელ ბილიჩს ყიდულობსო. გადაიყვანს თუ არა როილი ბილიჩს, უცნობია, მაგრამ ფაქტი ერთია: „ევერტონს" ლიდსში 1953 წლის შემდეგ არ მოუგია.

**სანდერლენდი 2:1 მანჩესტერი**

**სანდერლენდი:** პერესი, ბოლი, კუბიჩკი, ბოლი, ბრაისველი (უილამსი 84), ორდი, მელვილი, კელი, გრეი, მულინი, ბრიჯისი (რასელი 74)
**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ.ნევილი, ირვინი, მეი, კანტონა, ბეკჰემი, ფ.ნევილი, მაკკლეირი, კრუიფი (კოული 57), პობორსკი (სოლსკიაერი 57), იონსენი
**გოლი:** გრეი (52), მულინი (76), მელვილი (78 საკ. კარში)




პორტსმუთი — ჩელსი. ლონდონელი მარკ ჰიუზის დარტყმას თავგანწირვით გადაეღობა მასპინძელი რასელ პერეტი

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ მანჩესტერელები გაალიდგულა და ამისთვის სასჯელმაც არ დააყოვნა. ფერგიუსონის ბიჭების მიერ პირველ წრეში 5:0 დამარცხებულმა კლუბმა მანჩესტერელებს 2 ნოემბრის შემდეგ პირველი მარცხი აგემა. ფერგიუსონს დაშავებული ნიკი ბათი და როი კინი აკლდნენ, კოული, სოლსკიაერი და გიგზი კი მწვრთნელმა დაასვენა. მე-11 წუთზე იონსენის თავური პერესმა აიღო. მალე ფრანგმა მეკარემ თანამემამულე მეტოქის შორიდან დარტყმული მოიგერია. „იუნაიტედი" კი უტევდა, მაგრამ „სანდერლენდი" გააზრებულად იცავდა თავს, ხოლო მეორე ნახევარში შეუტია კიდეც. თამაშის განახლებიდან შვიდ წუთში მასპინძელთა ფორვარდმა გრეიმ ჰოლის ჩაწოდებულით გაიტანა — შმაიხელი შეცდა. გოლმა ფერგიუსონი შეაფუცხუნა და მოედანზე კოულ-სოლსკიაერის დუეტი შეუშვა, მაგრამ იმ დღეს მათ გოლის გატანა არ ეწერათ. ფორვარდებმა მხოლოდ გარკვეულწილად გააძლიერეს „იუნაიტედი", ეს იყო და ეს. მულინმა მალე უპირატესობა განამტკიცა, თუმცა ორ წუთში ბეკჰემის ჯარიმა ენდი მელვილმა ავტოგოლად აქცია. თამაშის გადარჩენის შანსი გაჩნდა, მაგრამ იმედი იმედადვე დარჩა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა განაცხადა, რომ თელ ავივის „მაქაბიდან" ორ მილიონ გირვანქად ისრაელის ნაკრების წევრი, 23 წლის გადი ბრუმერი გადაჰყავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 16 | 9 | 4 | 57:33 | 57 |
| არსენალი | 30 | 15 | 9 | 6 | 49:26 | 54 |
| ლივერპული | 28 | 15 | 8 | 5 | 46:21 | 53 |
| ნიუკასლი | 27 | 14 | 6 | 7 | 51:31 | 48 |
| ასტონ ვილა | 29 | 13 | 7 | 9 | 35:27 | 46 |
| შეფილდი | 28 | 11 | 12 | 5 | 37:32 | 45 |
| უიმბლდონი | 27 | 12 | 8 | 7 | 39:32 | 44 |
| ჩელსი | 27 | 11 | 10 | 6 | 42:38 | 43 |
| ლიდსი | 29 | 11 | 6 | 12 | 24:31 | 39 |
| ლესტერი | 28 | 10 | 7 | 11 | 33:38 | 37 |
| ტოტენჰემი | 28 | 10 | 5 | 13 | 34:38 | 35 |
| ევერტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 36:43 | 33 |
| ბლეკბერნი | 27 | 7 | 11 | 9 | 28:26 | 32 |
| დერბი | 29 | 7 | 11 | 11 | 31:44 | 32 |
| სანდერლენდი | 29 | 8 | 8 | 13 | 25:39 | 32 |
| ქოვენთრი | 30 | 6 | 12 | 12 | 26:39 | 30 |
| ნოტინგემი | 29 | 6 | 9 | 14 | 24:45 | 27 |
| საუთჰემპტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 37:46 | 25 |
| ვესტ ჰემი | 27 | 6 | 7 | 14 | 24:37 | 25 |
| მიდლსბრო | 27 | 6 | 7 | 14 | 37:49 | 22 |

### ინგლისის თასი. მეოთხედფინალი

**პორტსმუთი 1:4 ჩელსი**

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, ლებეფი (იონსენი 76), კლარკი, მ.ჰიუზი, უაიზი, დი მატეო (ბარლი 63), მინტო, სინკლერი, ძოლა, მ.ჰიუზი
**გოლი:** მ.ჰიუზი (25), უაიზი (43, 86), ძოლა (56), ბარტონი (82)

ბოლო ოთხ წელიწადში „ჩელსიმ" მესამედ მოახერხა თასის ნახევარფინალში გასვლა. გულიტის ბიჭებმა პირველდივიზიონელი „პორტსმუთი" დაიბრიყვეს. მასპინძლებს ვერც ერთგული გულშემატკივრები დაეხმარნენ და ვერც შინ თამაშმა უშველა რამე. „ჩელსიმ" თამაში დაიწყო და დაამთავრა კიდეც, მეტოქე კი ხელის შეშლას ცდილობდა. პირველ ორ გოლში ბრალი პერეტს მიუძღოდა. ლებეფის გადაცემის ჩაჭრისას პერეტი შეცდა, უელსელმა კი შეაგდო. ცოტა ხანში პერეტი ჰიუზთან უხეშობისთვის გააფრთხილეს. ტაიმის ბოლოს კი მის გამო დანიშნულ ჯარიმას გოლი მოჰყვა — ძოლამ დაარტყა, კლარკის თაური ნაითმა აიღო, დამატებით კი უაიზმა იხეირა. მეორე ტაიმში ძოლამ ივარგა. იტალიელმა ბრედბერის თავზე აუბნია და ვეტერან, 738-ედ მოთამაშე ნაითს მესამე გაუტანა. უპირატესობას მიაღწია თუ არა, „ჩელსი" დაწყნარდა. შეხვედრის ბოლო ათ წუთში 16 ათასმა მაყურებელმა ორი გოლი იხილა. ჯერ ბარტონმა შეაგდო პრესტიჟის, შემდეგ კი უაიზ-ჰიუზის გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დასრულდა.

**ჩესტერფილდი 1:0 რექსჰემი**

**გოლი:** ბომონი (58)

მატჩის დაწყებამდე სტადიონზე შეკრებილმა 9 ათასმა გულშემატკივარმა სიმღერა დააგუგუნა და სტუმართა დაშინება სცადა. არავინ იცის, იმოქმედა თუ არა მეტოქეზე ამ „ჰიტებმა", მაგრამ ერთი კია — „რექსჰემი" დაბნეული გამოიყურებოდა. თამაში უსახური გამოდგა. შიგადაშიგ თუ შეიქმნებოდა სახიფათო მომენტები და ისიც უმეტესწილად ცუდდებოდა. ერთადერთმა გოლმა, გულშემატკივართა სასიხარულოდ, მათ კლუბს მოუტანა გამარჯვება. ბომონმა მარტო ეს არ იკმარა — 71-ე წუთზე ხარიხაც შეაზანზარა.

**შეფილდი 0:2 უიმბლდონი**

**შეფილდი:** პრესმენი, ნიკოლი, ნიკსანი (ჰამფრიზი 14), უოქერი, ნოლანი, ატერტონი, უიტინგემი, ჰაიდი (ტრუსტი 37), პემბრიჯი, კარბონი, ბუთი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, პერი, ბლექველი, კიმბლი, ერდლი, ჯოუნზი, ერლი, ლეონარდსენი, ეკოკუ (მაკალისტერი 86), გეილი (ჰოლდსუორსი 88)
**გოლი:** ერლი (75), ჰოლდსუორსი (90)

„მიდლსბროსი" არ იყოს, „უიმბლდონიც" ორივე თასის მოსაპოვებლად იბრძვის — ლონდონელებმა თასის ნახევარფინალს მიაღწიეს, ლიგის თასზე კი ფინალში გასვლას უმიზნებენ. სტუმრები სეზონში უკვე მე-40 შეხვედრას ატარებდნენ, მათი გამარჯვების სულის ჩამდგმელნი კი ეფან ეკოკუ და მარკუს გეილი იყვნენ. პირველმა ტაიმმა ნელ ტემპში განვლო, მეტოქეები უფრო კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. შესვენების შემდეგ „უიმბლდონმა" კლანჭები გამოაჩინა. ჯერ ერლის შეეძლო თაურით გატანა, მერე კი გამოჯანმრთელებულ უელსელ ჯოუნზს. ამან ჩვეულებას ვერც ახლა უღალატა და კარბონისთან იუხეშა, რისთვისაც გააფრთხილეს კიდეც. 58-ე წუთზე ლეონარდსენის დარტყმა მცირედით ასცდა ხარიხას. ათ წუთში ბუთის დარტყმა სალივანმა აიღო, მალე კი კარბონის დარტყმულსაც იგივე ბედი ეწია. ერლიმ ანგარიში ასე გახსნა: ეკოკუმ ერდლის მისცა, ამან ერლი მოძებნა, რობიმ კი მატჩის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა „უიმბლდონისთვის". სტუმართა უპირატესობამ მასპინძლები სულიერად დასცა და წამატებულ დროში ჰოლდსუორსმა მეორეც შეაგდო.

**დერბი ქაუნთი 0:2 მიდლსბრო**

**დერბი:** ტეილორი, კარსლი, შტიმაცი, დეილი, ს.პაუელი, ფლინი (როუეტი 46), დ.პაუელი (სიმპსონი 73), ტრილოპი, ასანოვიჩი, ვილემსი (გაბიადინი 84), უორდი
**მიდლსბრო:** რობერტსი, პირსონი, მასტო, ბექი, ჟუნინიო, რავანელი, ფლემინგი, ბლექმორი, ფესტა, სტამპი, ჰინეტი
**გოლი:** ჟუნინიო (39), რავანელი (98)

ბრაიან რობსონმა კლუბის ისტორიაში პირველად გაიყვანა „მიდლსბრო" ქვეყნის თასის ნახევარფინალში. ჩემპიონატის ბოლო ტურში „მიდლსბრომ" შინ 6:1 გაანადგურა „დერბი", არც ახლა, სტუმრად დაზოგა თავი. მასპინძელთა ძირითადში, პირველად ორწლინახევრის შემდეგ, ითამაშა მეკარე ტეილორმა, რომელმაც 1995 წელს ფეხი მოიტეხა. მასპინძლებს ვან დერ ლაანი, ლაურსენი და სტარიუკი აკლდათ, მაგრამ მათი ყოფნაც ვერაფერს შემატებდათ — „დერბი" „მიდლსბროს" მომგები მაინც არ იყო. თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. პირველი წუთები დაძაბული გამოდგა. მე-9-დან მე-13 წუთამდე არბიტრმა რავანელი, კარსლი და ფლინი გააფრთხილა. ტაიმის შუაში ტრილოპის შორეულმა დარტყმამ სტუმართა ხარიხას გადაუფრინა. მალე ასანოვიჩმა ვერ ივარგა. პირველი ნახევრის ბოლო წუთებში კი ჟუნინიომ იმარჯვა. ბრაზილიელი შტიმაცსა და დეილის შუა გაძვრა, მერე ტეილორიც მოატყუა და „მიდლსბრო" დააწინაურა. მეორე ტაიმში სტუმრები მეტს უტევდნენ. 79-ე წუთზე ბექს შეეძლო გატანა, მაგრამ ტეილორმა იყოჩაღა. მალე რავანელიმ მოწოდებული კუთხურის შემდეგ თაური ააცილა, მაგრამ უგოლოდ მაინც ვერ მოისვენა — მსაჯის მიერ დამატებულ დროში „დერბის" ორ თამაშში მეოთხედ შეუგდო. ეს მატჩი „დერბის" ისტორიის სამუდამო კუთვნილება გახდა. კლუბმა უკანასკნელი სათასო მატჩი ითამაშა „ბეისბოლ გრაუნდზე". მომავალი სეზონიდან მასპინძლები ახალ სტადიონზე გადაბარგდებიან.

### პირველი დივიზიონი

**სიტი 1:0 ოლდემი**

**სიტი:** რაიტი, ბრაისველი, მორლოკი, ლომასი, საიმონსი, ბისლი, სამერბი, მაკგოლდრიკი, დიკოვი, ინგრემი (კრუქსი 55), როსლერი
**გოლი:** როსლერი (58)

**სხვა მატჩები:** ბირმინგემი — საუთენდი 2:1, ბოლტონი — სვინდონი 7:0, ბრედფორდი — გრიმსბი 3:4, ჩარლტონი — კრისტალ პალასი 2:1, ნორვიჩი — პორტ ვეილი 1:1, ოქსფორდი — ვესტ ბრომვიჩი 1:0, ქუინზ პარკი — ჰადერსფილდი 2:0, ვულვერჰემპტონი — ტრანმერი 3:2, სტოკ სიტი — იფსვიჩი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 37 | 21 | 12 | 4 | 80:46 | 75 |
| ვულვზი | 36 | 19 | 8 | 9 | 52:35 | 65 |
| ბარნსლი | 34 | 16 | 11 | 7 | 57:42 | 59 |
| შეფილდი | 35 | 16 | 10 | 9 | 61:40 | 58 |
| იფსვიჩი | 36 | 14 | 13 | 9 | 51:44 | 55 |
| კრისტალ პალ. | 35 | 14 | 11 | 10 | 65:38 | 53 |
| პორტ ვეილი | 37 | 12 | 15 | 10 | 44:43 | 51 |
| სტოკ სიტი | 35 | 14 | 9 | 12 | 44:45 | 51 |
| ტრანმერი | 35 | 14 | 8 | 13 | 48:46 | 50 |
| პორტსმუთი | 35 | 14 | 8 | 13 | 42:39 | 50 |
| სვინდონი | 37 | 14 | 7 | 16 | 50:54 | 49 |
| ქუინზ პარკი | 36 | 12 | 11 | 13 | 47:48 | 47 |
| ოქსფორდი | 36 | 13 | 7 | 16 | 48:48 | 46 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 7 | 15 | 43:50 | 46 |
| სიტი | 34 | 13 | 6 | 15 | 44:45 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 10 | 14 | 13 | 58:62 | 44 |
| ჰადერსფილდი | 37 | 11 | 11 | 15 | 41:52 | 44 |
| რედინგი | 34 | 11 | 10 | 13 | 45:52 | 43 |
| ბირმინგემი | 34 | 11 | 10 | 13 | 39:42 | 43 |
| გრიმსბი | 35 | 8 | 10 | 17 | 46:66 | 34 |
| ბრედფორდი | 36 | 8 | 10 | 18 | 38:60 | 34 |
| საუთენდი | 37 | 7 | 12 | 18 | 35:68 | 33 |
| ოლდემი | 34 | 7 | 10 | 17 | 34:46 | 31 |

## პოლონეთი

მე-20 ტური. პოლონია — ვისლა 1:0, ჰუტნიკი — სოკოლი 0:0, რუხი — ლეხი 0:0, სტომილი — ვიძევი 1:0, გურნიკი — ოდრა 2:1, რაკოვი — ლეგია 1:1, ბელხატოვი — შლიონსკი 3:2, ლკს — გკს 1:1, ზაგლემბიე — ამიცა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 20 | 14 | 3 | 3 | 36:15 | 45 |
| ვიძევი | 20 | 12 | 5 | 3 | 38:12 | 41 |
| სტომილი | 20 | 10 | 4 | 6 | 29:22 | 34 |
| გკს | 20 | 8 | 8 | 4 | 28:23 | 32 |
| ოდრა | 20 | 9 | 4 | 7 | 32:28 | 31 |
| ამიცა | 20 | 9 | 3 | 8 | 24:27 | 30 |
| ზაგლემბიე | 20 | 7 | 7 | 6 | 24:23 | 28 |
| პოლონია | 20 | 8 | 4 | 8 | 20:26 | 28 |
| ლკს | 20 | 6 | 8 | 6 | 26:25 | 26 |
| ვისლა | 20 | 7 | 5 | 8 | 17:20 | 26 |
| ბელხატოვი | 20 | 7 | 4 | 9 | 27:29 | 25 |
| რაკოვი | 20 | 6 | 7 | 7 | 18:22 | 25 |
| ლეხი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:25 | 24 |
| ჰუტნიკი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:23 | 22 |
| გურნიკი | 20 | 6 | 3 | 11 | 20:30 | 21 |
| სოკოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 18:28 | 21 |
| რუხი | 20 | 3 | 8 | 9 | 16:24 | 17 |
| შლიონსკი | 20 | 4 | 4 | 12 | 16:29 | 16 |

## თურქეთი

25-ე ტური. სამსუნი — ალთაი 0:0, სარიერი — ანთალია 1:1, [illegible], დარდანელი — ზეითუნბურნუ 4:0, ტრაბზონსპორი — ვანსპორი 4:0, გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში 0:3, ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯუ 1:1, დენიზლი — გალათასარაი 2:3, ქოჯაელი — ბურსა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 25 | 17 | 6 | 2 | 64:22 | 57 |
| ბეშიქთაში | 25 | 16 | 7 | 2 | 62:16 | 55 |
| ფენერბაჰჩე | 25 | 16 | 6 | 3 | 51:16 | 54 |
| ტრაბზონი | 25 | 16 | 4 | 5 | 60:25 | 52 |
| ბურსა | 25 | 12 | 6 | 7 | 35:25 | 42 |
| გაზიანთეფი | 25 | 11 | 7 | 7 | 28:26 | 40 |
| ქოჯაელი | 25 | 10 | 8 | 7 | 28:22 | 38 |
| ისთანბული | 25 | 10 | 6 | 9 | 34:29 | 36 |
| გენჩლერბირ. | 25 | 9 | 5 | 11 | 29:33 | 32 |
| სამსუნი | 25 | 8 | 8 | 9 | 30:36 | 32 |
| სარიერი | 25 | 8 | 6 | 11 | 35:40 | 30 |
| ანთალია | 25 | 8 | 6 | 11 | 28:38 | 30 |
| ალთაი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:41 | 29 |
| ანკარაგიუჯუ | 25 | 6 | 7 | 12 | 26:38 | 25 |
| დარდანელი | 25 | 6 | 6 | 13 | 24:45 | 24 |
| ვანსპორი | 25 | 4 | 6 | 15 | 18:41 | 18 |
| დენიზლი | 25 | 4 | 3 | 18 | 27:55 | 15 |
| ზეითუნბურნუ | 25 | 2 | 5 | 18 | 20:64 | 11 |

## ჰოლანდია

24-ე ტური. ჰერენვენი — ვიტესი 3:0, ბრედა — ვოლენდამი 3:0, გრააფსხაპი — სპარტა 1:1, ტილბურგი — აზ 67 2:0, სიტარდი — როდა 0:3, ნაიმეგენი — ვალვაიკი 3:1, ფეიენოორდი — ეინდჰოვენი 0:0, აიაქსი — უტრეხტი 1:0, გრონინგენი — ტვენტე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 24 | 17 | 4 | 3 | 66:17 | 55 |
| ფეიენოორდი | 24 | 16 | 4 | 4 | 40:24 | 52 |
| ტვენტე | 24 | 15 | 4 | 5 | 38:19 | 49 |
| ვიტესი | 24 | 11 | 6 | 7 | 39:28 | 39 |
| აიაქსი | 23 | 10 | 9 | 4 | 30:19 | 39 |
| როდა | 24 | 11 | 6 | 7 | 34:30 | 39 |
| ჰერენვენი | 24 | 9 | 10 | 5 | 41:31 | 37 |
| ბრედა | 24 | 10 | 5 | 9 | 32:35 | 35 |
| გრააფსხაპი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:35 | 34 |
| ტილბურგი | 24 | 7 | 5 | 12 | 28:39 | 26 |
| ვოლენდამი | 24 | 6 | 8 | 10 | 24:36 | 26 |
| უტრეხტი | 24 | 5 | 10 | 9 | 28:33 | 25 |
| სპარტა | 23 | 7 | 4 | 12 | 26:32 | 25 |
| სიტარდი | 24 | 5 | 10 | 9 | 21:37 | 25 |
| გრონინგენი | 24 | 5 | 8 | 11 | 27:46 | 23 |
| აზ 67 | 24 | 5 | 5 | 14 | 20:30 | 20 |
| ვალვაიკი | 24 | 4 | 7 | 13 | 24:42 | 19 |
| ნაიმეგენი | 24 | 4 | 7 | 13 | 25:46 | 19 |

## ბელგია

26-ე ტური. გენკი — ლომელი 0:1, სენტ ტრიუდენი — მუსკრონი 2:0, ლიერსი — ანდერლეხტი 5:1, გენტი — ანტვერპენი 0:0, მოლენბეკი — მეხელენი 3:1, სტანდარდი — აალსტი 3:0, ეკერენი — ლოკერენი 1:0, ჰარელბეკი — სერკლ ბრიუგე 3:1, ბრიუგე — შარლერუა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 26 | 16 | 5 | 5 | 55:30 | 53 |
| ლიერსი | 26 | 14 | 10 | 2 | 50:28 | 52 |
| მუსკრონი | 26 | 14 | 9 | 3 | 47:25 | 51 |
| ანდერლეხტი | 26 | 12 | 9 | 5 | 43:26 | 45 |
| ანტვერპენი | 26 | 13 | 4 | 9 | 40:35 | 43 |
| ჰარელბეკი | 26 | 12 | 6 | 8 | 43:30 | 42 |
| ლომელი | 26 | 12 | 6 | 8 | 38:38 | 42 |
| სტანდარდი | 26 | 13 | 2 | 11 | 44:39 | 41 |
| გენკი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:32 | 32 |
| ეკერენი | 26 | 8 | 6 | 12 | 32:38 | 30 |
| მოლენბეკი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:33 | 30 |
| სტ. ტრიუდენი | 26 | 8 | 6 | 12 | 36:45 | 30 |
| მეხელენი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:39 | 29 |
| გენტი | 26 | 8 | 5 | 13 | 35:46 | 29 |
| შარლერუა | 26 | 7 | 6 | 13 | 30:40 | 27 |
| ლოკერენი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:48 | 27 |
| აალსტი | 26 | 4 | 9 | 13 | 28:46 | 21 |
| სერკლ ბრიუგე | 26 | 4 | 7 | 15 | 28:52 | 19 |

## საბერძნეთი

24-ე ტური. პანახაიკი — ოლიმპიაკოსი 0:2, ოფი — პანილიაკოსი 3:1, იონიკოსი — პანათინაიკოსი 3:1, კასტორია — ირაკლისი 0:3, კავალა — კალამატა 2:0, ედესაიკოსი — პაოკი 1:4, ქსანთი — აპოლონი 3:0, არისი — ვერია 2:0

პირველი ათეული ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 24 | 18 | 4 | 2 | 42:10 | 58 |
| პანათინაიკოსი | 24 | 16 | 3 | 5 | 43:14 | 51 |
| აეკი | 23 | 15 | 4 | 4 | 51:20 | 49 |
| ოფი | 24 | 14 | 4 | 6 | 36:20 | 46 |
| კავალა | 24 | 13 | 4 | 7 | 31:21 | 43 |
| პაოკი | 24 | 11 | 8 | 5 | 30:22 | 41 |
| პანილიაკოსი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:30 | 35 |
| ვერია | 24 | 9 | 6 | 9 | 24:19 | 33 |
| იონიკოსი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:29 | 32 |
| პანახაიკი | 24 | 7 | 8 | 9 | 21:27 | 29 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXII ტური

12 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — ბოხუმი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ვერდერი — ზანქტ პაული | 1,4 | 3,3 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰამბურგი — მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| კიოლნი — შტუტგარტი | 3,3 | 3,3 | 1,8 |
| დორტმუნდი — ჰანზა | 1,1 | 5,6 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| ფორტუნა — ფრაიბურგი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| არმინია — ბაიერნი | 5,6 | 3,2 | 1,5 |
| შალკე — დუისბურგი | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| მიუნხენ 1860 — ლევერკუზენი | 2,6 | 2,6 | 2,5 |

### ინგლისის ლიგის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

12 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიდლსბრო — სტოქპორტი | 1,15 | 5,3 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| ლესტერი — უიმბლდონი | 2,5 | 2,6 | 2,6 |

### ესპანეთის თასი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

12 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ესპანიოლი — ლას პალმასი | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,7 |
| რაიო ვალეკანო — ბეტისი | 2,5 | 2,6 | 2,6 |
| სელტა — რასინგი | 2,5 | 2,6 | 2,6 |

### ამხანაგური მატჩები

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბულგარეთი — სლოვაკეთი | 1,5 | 3,2 | 5,6 |

12 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუმინეთი — საბერძნეთი | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| ჩეხეთი — პოლონეთი | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| იუგოსლავია — რუსეთი | 1,8 | 2,8 | 4,0 |

## CROCO-2

### ტირაჟი №23

1. კარლსრუე — ბოხუმი
2. კიოლნი — შტუტგარტი
3. მიუნხენ 1860 — ლევერკუზენი
4. ლესტერი — უიმბლდონი
5. ბარსელონა — ატლეტიკო
6. ვალეკანო — ბეტისი
7. სელტა — რასინგი
8. იუგოსლავია — რუსეთი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

### კოეფიციენტები ევროტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE — UEFA Cup Winners' Cup — UEFA CUP

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1,5 | ბარსელონა | 2,0 | ინტერი | 1,5 |
| მანჩესტერი | 2,2 | ლივერპული | 2,0 | მონაკო | 2,2 |
| დორტმუნდი | 3,0 | ფიორენტინა | 2,0 | ნიუკასლი | 4,0 |
| აიაქსი | 5,0 | პარი სენ ჟერმენი | 5,0 | შალკე | 4,0 |
| ატლეტიკო | 5,0 | აეკი | 6,0 | ვალენსია | 5,0 |
| ოსერი | 10,0 | ბენფიკა | 40,0 | ბრონდბიუ | 6,0 |
| პორტუ | 50,0 | აიკი | 40,0 | ტენერიფე | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 | ბრანი | 40,0 | ანდერლეხტი | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ავტოსპორტი

ფორმულა 1
I ეტაპი
ავსტრალიის გრან-პრი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ნავსი გატყდა




შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი გამარჯვებულის სინით ხელში

„მაკლარენმა" ბოლო გამარჯვება 1993 წლის ბოლო ეტაპზე ავსტრალიაში იზეიმა (აირტონ სენა) და აი, კვლავ ავსტრალიაში, წლევანდელი სეზონის პირველ ეტაპზე, 48 რბოლიანი „მარხვის" შემდეგ რონ დენისის პილოტი კვლავ განიბანა საპრიზო შამპანურით. 25 წლის შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა 105-ე გამარჯვება მოუპოვა გუნდს.

რბოლისწინა პერიოდში ატეხილმა აჟიოტაჟმა და მატარებლების მძღოლთა გაფიცვამ პირველ ვარჯიშზე მხოლოდ 48 000 მაყურებელი შეკრიბა, რაც ბევრად ნაკლებია შარშანდელთან შედარებით — 65 000. პარასკევის ორი ვარჯიშის შემდეგ საუკეთესო მიხაელ შუმახერი (ფერარი) იყო — 1. 32. 496, მეორე კი ფრენცენი (უილიამს-რენო) — 1. 32. 910. ფრანგი ჟან ალეზი (ბენეტონ-რენო), რომელიც ვარჯიშის პირველ ნახევარში (დილით) საუკეთესო გახლდათ, მესამეზე აღმოჩნდა (1. 33. 255). მან აღიარებული ფავორიტი ჟაკ ვილნევიც (უილიამს-რენო) ჩამოიტოვა, რომლის შედეგია 1. 33. 371. ჩემპიონატის დებიუტანტმა რალფ შუმახერმა (ჯორდან-პეჟო) მეხუთე დრო — 1. 33. 437 აჩვენა. „ბრიჯსტოუნის" საბურავებით მოასპარეზეთა შორის საუკეთესო ოლივიე პანი (პროსტ მუგენ-ჰონდა) — 1. 34. 927 მე-12 ადგილზე აღმოჩნდა, მომდევნო კი მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი (ეროუზ-იამაჰა) იყო — 1. 35. 073.

შაბათს კვალიფიკაციამ თითქოს თავის ადგილას დააყენა ყველაფერი, პოული და ადგილი ტრასის შიგა მხარეს ვილნევმა მოიპოვა — 1. 29. 369. ეს მისი მეოთხე პოულია კარიერაში, თანაც, ვერცერთმა პილოტმა ვერ მოახერხა მასთან მიახლოვება — მეორეზე გასული ფრენცენი (უილიამს-რენო) 1, 754 წამით ჩამორჩა. მსოფლიოს ჩემპიონმა დეიმონ ჰილმა თავისი საკვალიფიკაციო დროის ჩვენება (1. 34. 806) მხოლოდ სესიის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე მოახერხა და მე-20 ადგილს დასჯერდა. კვალიფიკაცია მაღალ დონეზე ჩაატარეს ჩემპიონატის დებიუტანტებმა, „სტიუარტ-ფორდის" პილოტებმა ბარიჩელომ (ბრაზილია) და მაგნუსენმა (ნიდერლანდები), რომელთაც შესაბამისად მე-11 და მე-19 პოზიცია დაიკავეს. „ლოლა-ფორდის" პილოტები — ვინჩენცო სოსპირი (იტალია) — 1. 40. 972 და რიკარდო როსეტი (ბრაზილია) — 1. 42. 086 რბოლის მიღმა დარჩნენ.

კვალიფიკაციის შედეგები: ვილნევი (უილიამს-რენო) 1. 29. 369; ფრენცენი (უილიამს-რენო) — 1. 31. 123; მიხაელ შუმახერი (მაკლარენ-მერსედესი) 1. 31. 531; ირვინი (ფერარი) 1. 31. 881; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1. 31. 971; ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) 1.32. 287; ალეზი (ბენეტონ-რენო) 1. 32. 593; პანი (პროსტ მუგენ-ჰონდა) 1. 32. 842; ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1. 32. 870; ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 1. 33. 075; რალფ შუმახერი (ჯორდან-პეჟო) 1. 33. 130, ლარინი (ზაუბერ-ფერარი) 1. 33. 327; ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) 1. 33. 552; კატაიამა (მინარდი-ჰარტი) 1. 33. 798; ნაკანო (პროსტ მუგენ-ჰონდა) 1. 33. 989; ტიული (მინარდი-ჰარტი) 1. 34. 120; სალო (ტირელ-ფორდი) 1. 34. 229; მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) 1. 34. 623; ჰილი (ეროუზ-იამაჰა) 1. 34. 806); ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) 1. 34. 943; დინიცი (ეროუზ-იამაჰა) 1. 35. 972; კვალიფიკაცია ვერ გადალახეს: სოსპირმა (ლოლა-ფორდი) 1. 40. 972 და როსეტიმ (ლოლა-ფორდი) 1. 42. 086.

კვირის რბოლა დრამატულად დაიწყო: გასახურებელ წრეზე მსოფლიოს ჩემპიონ დეიმონ ჰილს თავისი ბოლიდის მიტოვება და მაყურებლებში გადანაცვლება მოუხდა. სტარტის შემდეგ პოულის მფლობელი ვილნევი, რომელმაც უხეიროდ აიღო სტარტი, ჰერბერტისა და ირვინის ბოლიდებს შორის გაეჩხირა და სამივე პილოტი რბოლას გამოეთიშა. ლიდერობა ფრენცენმა დაიკავა და მანაც საკმაოდ მალე მოიპოვა 18 წამიანი უპირატესობა. მე-18 წრეზე უილიამსის პილოტს ბოქსებში მოუწია შევლა, იქედან კი მესამე პოზიციაზე დაბრუნდა და კულჰარდისა და მიხაელ შუმახერის მდევარი აღმოჩნდა. კულჰარდი ამ დროს 12,5 წამს უგებდა გერმანელს, მაგრამ 33-ე წრეზე თავისი ერთადერთი პიტ-სტოპისთვის ბოქსებს მიაშურა. ამასობაში ფრენცენმა რამდენიმე სწრაფი წრე გაიარა და რეკორდიც დაამყარა — 1. 30. 585, მაგრამ ლიდერობა კვლავ ვერ შეინარჩუნა. მეორე პიტ-სტოპისას მექანიკოსებმა მოახერხეს და ტრასაზე 16,4 წამის შემდეგ დააბრუნეს იგი. კულჰარდი და შუმი კვლავ წინ აღმოჩნდნენ. ახალგაზრდა შოტლანდიელი წამზე ოდნავ მეტს უგებდა „ფერარის" ლიდერს, როდესაც შუმახერი ბოქსებში იხმეს.

რბოლის დასასრულამდე ექვსი წრით ადრე კულჰარდს წინააღმდეგობას ერთადერთი ფრენცენი უწევდა — მათ შორის სხვაობა 2,4 წამი იყო, მაგრამ 56-ე წრეზე დამუხრუჭებისას უკანა თვლების ბლოკირებამ ფრენცენი ტრასის მიღმა დატოვა და მანაც დაამთავრა რბოლა. საბოლოოდ, კულჰარდმა 20 წამით აჯობა მიხაელ შუმახერს და გუნდს ნანატრი გამარჯვება მოუტანა. „მაკლარენის" ტრიუმფს ჰაკინენის მესამე ადგილიც დაერთო, რომელმაც სიხარული ვერ დამალა და ალტაცებულმა ბოქსებში ხელში აიტაცა ჩემპიონი თანაგუნდელი.

**ალეკო ჭაბუკიანი**

9 მარტი, მელბურნი.

დისტანცია 58 წრე — 305,602 კმ

| | |
|---|---|
| 1. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) | 1:30.28,718<br>10 ქულა |
| 2. მიხაელ შუმახერი (ფერარი) | 1:30.48,764<br>6 ქულა |
| 3. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 1:30.50,895<br>4 ქულა |
| 4. ბერგერი (ბენეტონ-რენო) | 1:30.51,559<br>3 ქულა |
| 5. პანი (პროსტ მუგენ-ჰონდა) | 1:31.29,026<br>2 ქულა |
| 6. ლარინი (ზაუბერ-ფერარი) | 1:32.04,758<br>1 ქულა |
| 7. ნაკანო (პროსტ მუგენ-ჰონდა) | 2 წრით |
| 8. ფრენცენი (უილიამს-რენო) | 2 წრით |
| 9. ტიული (მინარდი-ჰარტი) | 3 წრით |
| 10. დინიცი (ეროუზ-იამაჰა) | 4 წრით |
| საუკეთესო წრე: ფრენცენი | 1:30,585 (36) |

რბოლას გამოეთიშნენ:

| | |
|---|---|
| ჰილი (ეროუზ-იამაჰა) | სტარტი არ აუღია |
| ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) | 0 წრე |
| ვილნევი (უილიამს-რენო) | 0 წრე |
| ირვინი (ფერარი) | 0 წრე |
| რალფ შუმახერი (ჯორდან-პეჟო) | 1 წრე |
| ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) | 2 წრე |
| ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) | 14 წრე |
| კატაიამა (მინარდი-ჰარტი) | 32 წრე |
| ალეზი (ბენეტონ-რენო) | 34 წრე |
| მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) | 36 წრე |
| სალო (ტირელ-ფორდი) | 42 წრე |
| ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 49 წრე |

პირადი პირველობა:

1. კულჰარდი 10 ქულა; 2. შუმახერი — 6; 3. ჰაკინენი — 4; 4. ბერგერი — 3; 5. პანი — 2; 6. ლარინი — 1;

გუნდური პირველობა:

1. მაკლარენ-მერსედესი 14 ქულა; 2. ფერარი — 6; 3. ბენეტონ-რენო — 3; 4. პროსტ მუგენ-ჰონდა — 2; 5. ზაუბერი — 1




გავარდნილი ვილნევი ხალხს ამშვიდებს

ველოსპორტი

# მამიკო, მიყიდე რა, ველოსიპედი!

ბოლოსდაბოლოს, დაადგა საშველი და ველოსპორტის ფედერაციამ წელს პირველი შეჯიბრება გამართა. ტურნირს სახელწოდებაც შესაფერისი შეურჩიეს — სეზონის გახსნის პრიზი. როგორც ნავარაუდევი იყო, სპორტსმენებმა ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლაში იასპარეზეს. პირველ დღეს, ინდივიდუალურ რბოლაში, რომელიც რუსთავის ავტოდრომის 15-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმართა, თბილისელებმა გია მგელაძემ და იური გრიგორიანმა პირველობა არავის დაუთმეს — გიამ და იურიმ დისტანცია ერთდროულად დაფარეს 19 წუთსა და 29 წამში. მათ 3 წამით ჩამორჩა ქობულეთელი ლევან მესხაძე.

მეორე დღეს უკვე თბილისის გარეუბნებს შესივნენ ველოსიპედისტები — ნატახტარიდან დუშეთის საგზაო პოლიციის პოსტამდე 72 კილომეტრი ყოფილა და ამ დისტანციას ჯგუფური რბოლის მონაწილე 30 სპორტსმენი შეება. პოსტთან საგზაო პოლიციელებმა პირველი თბილისელი მიხეილ მურადოვი დალანდეს (1:59.15). ქობულეთელები არც ჯგუფურ რბოლაში დარჩნენ უმეღლოდ — ჯუმბერ აფციაურს 15 წამი დააკლდა ჩემპიონობამდე (1:59.30) და მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე რობერტ ცხოვრებაძე (თბილისი) იყო 2:00.10.

ველოსიპედისტების მიერ ნაჩვენები შედეგებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ სეზონის პირველი შეჯიბრების კვალობაზე ეს შედეგები ურიგო არ არის. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისში არ ჩამოვიდნენ ქუთაისელი სპორტსმენები — ქუთაისის სპორტკომიტეტს მგზავრობის ფული დაუჭერია ბიჭებისთვის და ქუთაისელთა გუნდიც იმიტომ არ ჩამოვიდა. არც ლაგოდეხელები ეწვივნენ დედაქალაქს — ველოსპორტის ფედერაციაში ვარაუდობდნენ, რომ მათი ჩამოუსვლელობის მიზეზიც უფულობა იქნებოდა, მაგრამ ლაგოდეხელებმა მაინც იასპარეზეს — ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის სამი ალსაზრდელი თბილისში იმყოფებოდა და სტარტზეც გამოვიდა.

სეზონი ველოსიპედისტებისთვის კი გაიხსნა, მაგრამ ეგაა — არ არის გამორიცხული, წლის ბოლომდე მხოლოდ შინაური ჩემპიონატებით შემოიფარგლონ, რადგან უსახსრობა ფედერაციას არ აძლევს საშუალებას, უცხოეთში სასპარეზოდ გაუშვას სპორტსმენები. არადა, პოლონელები საერთაშორისო ტურნირზე იწვევენ ჩვენებურებს, აფრიკელები კი მაროკოში, „სამეფო ტურში“ მონაწილეობის მისალებად ეპატიჟებიან. მგზავრობის ხარჯის გარდა, ამ ტურნირის ყველა ხარჯს, თუკი ჩვენებს წასვლა ელირსათ, მაროკოელები გაიღებენ. ეს კი არა, თუ ჩვენი სპორტული დელეგაცია მოსკოვიდან მაროკოს ავიაკომპანია „ეარ მაროკოს“ ლაინერით ისარგებლებს, მგზავრობის ხარჯს 50 პროცენტით შეუმცირებენ. დამეთანხმებით, სახარბიელო წინადადებაა — სულ მცირე ხარჯებით „სამეფო ტურში“ ასპარეზობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფედერაციას ჯერჯერობით ეს თანხაც არ გააჩნია. ველოსიპედის ოსტატებმა შარშანდელივით ბევრი-ბევრი ეს შეძლონ — სპორტის სხვა სახეობის მიმდევართა მსგავსად მოსაზღვრე ქვეყნებს ეწვიონ და იქაურ ტურნირებში იასპარეზონ, სავარაუდოდ, ირანში, თურქეთში, შესაძლოა, საბერძნეთშიც გაალწიონ, თუმცა არც ესაა ნათელი პერსპექტივა. მონაწილეობა მონაწილეობად, მაგრამ უცხოეთის ტურნირებში, საეჭვოა, ჩვენებურებმა რაიმე წარმატებას მიაღწიონ — შარშან მიხეილ მურადოვი და რომან ცხოვრებაძე რუსეთის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ეწვივნენ და რუსები სიცილით დაიხოცნენ — საქართველოდან ტანკებით ჩამოვიდნენო, იმდენაც მოძველებული ველოსიპედებით იყვნენ ბიჭები რუსეთს ჩასული.

შეჯიბრებისას კი ტურნირის მომსახურე ტექნიკური პერსონალი საქართველოს ნაკრების წევრთა ველოსიპედებზე საბურავების გამოცვლას ვერ აუდის, არც „ხარკოვის“ მარკის მოძველებული, დადუღებული ველოსიპედებით ასპარეზობაა მაინცდამაინც უსაფრთხო. წლის დასაწყისში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მესვეურნი შეჰპირდნენ ველოსპორტის ფედერაციის თავკაცებს, მალე უცხოური მარკის უახლესი მოდელის 12 ველოსიპედს შევიძენთ ნაკრების წევრთათვისო. ახლა დეპარტამენტიდან ეუბნებიან, ფედერაციამ ფული თავად იშოვნოს და ყიდვა ჩვენზე იყოსო, თითქოს, ხეირიანი ველოსიპედი დეფიციტი იყოს და მისი შოვნა დიდი პრობლემაა. ფედერაცია კვლავ დეპარტამენტს მისჩერებია, „მამობილი“ კი „შვილობილს“ ალმაცერად უცქერს და ჯიბეში ხელის ჩაყოფა ეზარება. მოკლედ, დეპარტამენტისა და ფედერაციის ურთიერთობამ ჩემს 8 წლის ვაჟიშვილთან დილანდელი დიალოგი გამახსენა, რომლის დასასრულსაც ბიჭმა მომაძახა — მამიკო, მიყიდე რა, ველოსიპედი!

**ლევან ჯავახიშვილი**

ფიგურული სრიალი

# ჰორიზონტს იქით ბიჭი გამოჩნდა

ამას წინათ, როცა სუნდსვალში სპორტის ზამთრის სახეობათა ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიურ დღეებში მონაწილე საქართველოს დელეგაციის გამოსვლაზე ვიუწყებოდით, ვწერდით, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ფიგურულ ციგურაობაში თბილისელი ვახტანგ მურვანიძის ერთადერთი ვერცხლის წყალობით 41 ქვეყანას შორის XIII ადგილი დაიკავეს და იმასაც აღვნიშნავდით, რომ ეს ყველაფერი დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს — ჰორიზონტზე ახალი ვახტანგ მურვანიძე ჯერჯერობით არ სჩანსო.

და აი, ჰორიზონტს იქით გადავიხედეთ. დავინახეთ ერთი პატარა ბიჭი, რომელიც ლამაზი სრიალ-სრიალით ჩვენი თვალსაწიერისკენ მოიჩქარის, რამაც ძალზე გაგვაკვირვა, რადგან საქართველოში ასეთი აღარავინ გვეგულებოდა. ან იქნებ არიან კიდეც, მაგრამ აქაურ პირობებში „გამომწყვდეულნი“ შორს ვერ გასრიალდებიან. აი, იმ პატარა ბიჭს კი დიდ, ნამდვილ ყინულზე აუდგია ფეხი ავსტრიაში, ახლა კი ხორვატიაში ვარჯიშობს. მას თავისი მშობლები წვრთნიან — წარსულში საკავშირო თასის ორგზის მფლობელი მარინე ცერცვაძე და ასევე ფიგურული ციგურაობის სპეციალისტი ირაკლი ჯაფარიძე, რომლებიც ზაგრებში იქაურ ფიგურისტებს წვრთნიან.

მათი შვილი ოთარი 9 წლისაა და წლეულს ევროპის პირველობაზე ჩვება თანატოლთა შორის, სადაც მასზე 1 წლით უფროსებიც გამოდიან. ოთარი პირველ ეტაპზე მერვე იყო, მეორეზე — მეხუთე, მესამეზე — მესამე. თუ ასე გააგრძელა აღმასვლა, მესამე ეტაპზე ყველას უნდა აჯობოს, ბოლო მეხუთე ეტაპის მერე კი იქნებ საბოლოოდ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც დამკვიდრდეს.



ასეა თუ ისე, პატარა ოთარი ჰორიზონტისკენ და დიდი მიზნებისკენ მოიჩქარის.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

მშვილდოსნობა

# მოისარნი სტამბოლში

საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრები 16 მარტს სტამბოლში მიემგზავრება, სადაც 18-23 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

ნაკრების სამი წევრი — თამაზ ბახილაძე, სერგო ბერაძე და თამაზ ფუტკარაძე აჭარის წარმომადგენელია და მათ ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის მესვეურები აფინანსებენ. ხათუნა ფუტკარაძის, თამაზ ტალახაძისა და ხათუნა კობახიძის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ თანხას კი სპორტის დეპარტამენტი გაიღებს.

კალათბურთი

# ექსეულმა დაიწყო

ვერის ბაღი. 9 მარტი. I წრე

**ვითა — დინამო 92:72**

**ვითა:** თორთლაძე (10), ჩხეიძე (26), ქარაბაკი (12), ნაცვლიშვილი (26), ბერუაშვილი (7); ტურაშვილი (3), კოკოლიშვილი (8), ტულუში

**დინამო:** ხოშტარია (15), მაისურაძე (5), ოთიურიძე (14), ბეჟანიშვილი (7), მაჭარაძე (13); ცხვედიანი (3), კილაძე (7), ქლენტი (8), ჩიქოვანი

„ვითასა“ და „დინამოს“ შეხვედრებმა შარშანდელი სეზონი გაალამაზა და ჩვენი მეტად დაბალი დონის ჩემპიონატის შემყურე გულშემატკივარიც სწორედ ამ ორი გუნდის იმედად იყო.

ამ შემოდგომაზე „ვითამ“ ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები არ ითამაშა და სანამ საუკეთესო ექვსეული ურთიერთობის გარკვევას დაიწყებდა, გამოტოვებულ თამაშებს ინაზღაურებდა. „ვითასა“ და „დინამოს“ ეს შეხვედრაც სწორედ გასული წლის შემოდგომის უთამაშებელი მატჩი იყო. გასულმა დრომ ერთ გუნდს თუ შემატა, მეორეს, პირიქით — დააკლო. ვითელებმა დიდი გამოცდილება მიიღეს ევროტურნირში, ევროპის ჩემპიონატზეც სინჯეს ძალა, როგორც საქართველოს ნაკრების წევრებმა. „დინამო“ ევროტურნირიდან პირველივე წრეში გავარდა და ვერ მოხვდა შესარჩევ ჯგუფში, არადა, იქ თამაში დინამოელებს გარკვეულ გამოცდილებას შესძენდა. ამიტომ გუნდი ამ შეხვედრაზე სათამაშო პრაქტიკის გარეშე წარსდგა.

თუმცა, როდესაც პირველ წუთებში ოთიურიძემ და ხოშტარიამ ორი ზუსტი სროლით დააწინაურეს „დინამო“, მაყურებელს იმედი მიეცა, რომ ეს შეხვედრაც, შარშანდელის დარად, საინტერესო და დაძაბული იქნებოდა. ვითელები ნელ-ნელა მიჰყვებოდნენ დინამოელებს, 7:8-ზე კი, ერთი წუთის განმავლობაში, ერთბაშად 7 ქულით დაწინაურდნენ — 15:8. აქ დინამოელთა მწვრთნელმა მოსეშვილმა პირველი წუთშესვენება აიღო და მაისურაძისა და გუნდის ახალბედა მაჭარაძის ნაცვლად „დინამოში“ დაბრუნებული ქლენტი და ცხვედიანი შეიყვანა. ოთიურიძემ ჯიუტურ დაიწყო ბრძოლა ფარქვეშ, რამდენიმე ვითელს აჰკიდა პერსონალური და ანგარიში კვლავ დაძაბულ მატჩს გვპირდებოდა — 17:14 „ვითას“ სასარგებლოდ, მაგრამ აქ ნაცვლიშვილმა გაილაღა და მისი შეკავება დინამოელებმა ვერ შეძლეს. ვატოს მხარი აუბეს ჩხეიძემ, კოკოლიშვილმა და ანგარიშმაც სწრაფად დაიწყო ზრდა. პირველი ტაიმი ჩემპიონმა 16 ქულით მოიგო — 49:33.

„დინამოს“ შარშანდელ შეხვედრაში ასეთი სხვაობაც გაუცამტვერებია, მაგრამ ამ თამაშს საამისო არაფერი ეტყობოდა. ვითელთა უპირატესობა აშკარა იყო და მეორე ტაიმში კალათბურთელები მხოლოდ იმაზე ირჯებოდნენ, რაც შეიძლება რთული სიტუაციიდან და ლამაზად ჩაეგდოთ ბურთი. „ვითამ“ ძალზე იოლად მიიყვანა შეხვედრა გამარჯვებამდე — 92:72.

ჩემპიონატში მონაწილე 12 გუნდი ორად გაიყო. „ვითას“ გამარჯვება ჩაეთვალა „მერანთან“ და კიდევ ერთი შეხვედრა დარჩა სათამაშო ქუთაისის „იმერეთთან“, რომელიც, ალბათ, მოგვიანებით გაიმართება.

საუკეთესო ექვსეული ფინალში ასეთი შედეგებით მოხვდა: „ვითა“ 10 ქულა 10-დან, სდასუ — 10 11-დან, „დინამო“ — 9 11-დან, „შევარდენი“ — 8 11-დან, „აზოტი“ — 7 11-დან, „მაკაბი“— 5 11-დან.

10 მარტი. ექსეული

**სდასუ — აზოტი 80:77**

**სდასუ:** აბრამიძე (13), დავითულიანი (24), ჰვაჩია (2), ჩუბინიძე (13), დერიუგინი (15); აბულაძე (13)

**აზოტი:** გაბისონია (3), კიკნაძე (6), კეჭაყმაძე (3), ბოისი (24), ჯაფარიძე (27); გოგოლაძე (4), კოჭლამაზაშვილი (10)

რუსთაველთა მთავარი ძალა ცენტრალურ თავდამსხმელთა — ჯაფარიძე-ბოისას ძლიერი ტანდემი და უკანახაზელთა შორეული ტყორცნებია. ამიტომ პოზიციურ თამაშში მათი დაჯაბნა ძნელია. სდასუს ამისთვის სწრაფი იერიშები უნდა დაეპირისპირებინა, რომელთა განხორციელებაც ჩინებულად შეუძლიათ უნივერსიტეტის ლიდერებს აბრამიძეს და დავითულიანს, მაგრამ პირველ ტაიმში აბრამიძეს არ წაუვიდა თამაში და „აზოტმა“ ჯაფარიძისა და ბოისას მეცადინეობით უპირატესობა მოიპოვა. ბოლო წუთებში, როცა „აზოტი“ 39:31 იგებდა, დავითულიანმა და ჩუბინიძემ რამდენიმე სწრაფი გარღვევა მოახერხეს და შესვენებაზე გუნდები ორმა ქულამ დააშორა — 41:39 რუსთაველთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი დავითულიანის ორი გარღვევით დაიწყო. მერე გუნდებმა სამქულიანების შეცვლი გამართეს: რუსთაველი კოჭლამაზაშვილსა და კიკნაძეს აბულაძე და დავითულიანი პასუხობდნენ. მეათე წუთზე ანგარიში პირველად გათანაბრდა — 58:58, ორ წუთში კი აბრამიძემ დააწინაურა თავისი გუნდი 65:63. უნივერსიტეტელებმა მოახერხეს 6 ქულით წინ გაჭრა, მაგრამ ათამაშებულმა ჯაფარიძემ რუსთაველთა წინსვლას ხელი შეუშალა. წუთნახევრით ადრე სდასუ იგებდა 74:73. დავითულიანის გარღვევა უშედეგო იყო, მაგრამ კარგად დაამატა ჩუბინიძემ და ორი ქულა მოიპოვა — 76:73. შემდეგ რუსთაველთა ერთ გამოყენებულ საჯარიმოს აბულაძემ უპასუხა 78:74. აქ რუსთაველებმა ბურთი დაკარგეს, აბრამიძემ ჩააგდო 80:74. აქ ჯაფარიძემ სამქულიანით მატჩის გადარჩენის იმედი დაიტოვა, მაგრამ თბილისელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ბურთი და ძნელი გამარჯვება მოიპოვეს.

**დინამო — შევარდენი 116:86**

**დინამო:** ქლენტი (26), ცხვედიანი (20), კილაძე (12), ოთიურიძე (22), მაჭარაძე (8); ჩიქოვანი (13), მაისურაძე (15)

**შევარდენი:** იხაკაძე (13), ორჯონიკიძე (15), ნონელია (40), ფიოდოროვი (4), ლეინეფაძე (9); ქავხიშვილი, მოიხნრაფიშვილი, ციგარეიშვილი (6)

„შევარდენის“ მთელი თამაში წოწელიაზეა აგებული, მაგრამ „დინამო“ ის გუნდი არ არის, ერთმა კაცმა რომ მოუგოს. დინამოელებმა პირველივე ტაიმში ჩაკეტეს შევარდენელთა ლიდერი და მატჩიც მათი აშკარა უპირატესობით წარიმართა. მეორეში წოწელიამ ბლომად კი აგროვა ქულები, მატჩი მაინც არჩილ ქლენტისა იყო, რომელმაც ყველანაირი ბურთი ჩააგდო, პასებიც უხვად არიგა, მატჩი კი ასე დაამთავრა — ბოლო წამს საკუთარი ნახევრიდან მოათავსა ბურთი კალათში — 116:86.

დღეს ორი მატჩი გაიმართება: „აზოტი“ — „ვითა“ და „შევარდენი“ — სდასუ. პირველი შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

**ჭოტე მგალობლიშვილი**

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

7 მარტი

გოლდენ სტეიტი — ორლანდო 108:101, პორტლენდი — დალასი 80:69, სიეტლი — ნიუ ჯერსი 109:90, ჰიუსტონი — ლეიკერსი 111:90, იუტა — დეტროიტი 96:88, ფინიქსი — საკრამენტო 104:87, ჩიკაგო — ინდიანა 104:96, მაიამი — ვაშინგტონი 108:105, მინესოტა — დენვერი 96:83, სან ანტონიო — ტორონტო 106:103, ნიუ იორკი — ბოსტონი 113:102, ატლანტა — მილუოკი 90:80

8 მარტი

მილუოკი — კლივლენდი 90:82, სან ანტონიო — ინდიანა 102:98, დეტროიტი — კლიპერსი 91:85

9 მარტი

ატლანტა — ბოსტონი 114:90, შარლოტი — მაიამი 82:71, ტორონტო — ვანკუვერი 81:77, ჰიუსტონი — დალასი 88:83, ფინიქსი — ორლანდო 121:85, პორტლენდი — სიეტლი 103:93, ფილადელფია — ვაშინგტონი 99:93, იუტა — მინესოტა 116:106, ნიუ იორკი — ჩიკაგო 97:93, ლეიკერსი — ნიუ ჯერსი 116:105, გოლდენ სტეიტი — საკრამენტო 102:98

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| ნიუ იორკი | 47 | 16 | 74,6 |
| მაიამი | 45 | 17 | 72,6 |
| ორლანდო | 32 | 28 | 53,3 |
| ვაშინგტონი | 28 | 33 | 45,9 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 43 | 29,5 |
| ფილადელფია | 16 | 44 | 26,7 |
| ბოსტონი | 12 | 50 | 19,4 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| **ჩიკაგო** | 53 | 8 | 86,9 |
| დეტროიტი | 45 | 16 | 73,8 |
| ატლანტა | 42 | 19 | 68,9 |
| შარლოტი | 40 | 22 | 64,5 |
| კლივლენდი | 33 | 27 | 55,0 |
| ინდიანა | 29 | 32 | 47,5 |
| მილუოკი | 26 | 35 | 42,6 |
| ტორონტო | 21 | 40 | 34,4 |
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| იუტა | 45 | 16 | 73,8 |
| ჰიუსტონი | 42 | 20 | 67,7 |
| მინესოტა | 30 | 30 | 50,0 |
| დალასი | 19 | 41 | 31,7 |
| დენვერი | 18 | 43 | 29,5 |
| სან ანტონიო | 15 | 46 | 24,6 |
| ვანკუვერი | 11 | 52 | 17,5 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 42 | 18 | 70,0 |
| ლეიკერსი | 41 | 20 | 67,2 |
| პორტლენდი | 35 | 28 | 55,6 |
| საკრამენტო | 28 | 34 | 45,2 |
| კლიპერსი | 25 | 33 | 43,1 |
| ფინიქსი | 24 | 37 | 39,3 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 37 | 38,3 |

*და ზრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდი გავიდა ფლეი-ოფში*

ჰოკეი

# საიუბილეო უქმეები

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**7 მარტი.** [illegible] — მონრეალი 2:2, ფლორიდა — კალგარი 1:3, დალასი — ედმონტონი 2:1, ანაჰაიმი — რეინჯერსი 5:2.

**8 მარტი.** პიტსბურგი — ფილადელფია 3:2, მონრეალი — ბუფალო 3:3, აილენდერსი — ნიუ ჯერსი 5:1, ტამპა — ბოსტონი 4:6, ტორონტო — ჰართფორდი 1:1, ჩიკაგო — ფინიქსი 0:2, ვანკუვერი — დეტროიტი 3:5, ლოს ანჯელესი — ოტავა 3:1.

**9 მარტი.** ბუფალო — ნიუ ჯერსი 1:4, ტამპა — კალგარი 2:1, ფლორიდა — ბოსტონი 1:3, სენტ ლუისი — ედმონტონი 1:4, კოლორადო — ანაჰაიმი 2:2, სან ხოსე — რეინჯერსი 1:2.

8 თებერვლის შემდეგ პიტსბურგი ორორჯერ შეეჯახა დეტროიტს, ნიუ ჯერსის, აილენდერსს, თითოჯერ ბუფალოს და ფლორიდას, ხოლო ფილადელფიას მესამედ (!) შეხვდა. კლუბის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო მატჩში მან შეძლო „მფრინავების“ ძლევა და ერთგვარად ჯავრიც იყარა მეტოქეზე (მანამდე ორჯერ დიდი ანგარიშით დამარცხდა). პიტსბურგის გამარჯვება გუნდის ლიდერ ლემიესთვის მით უფრო სასიხარულო იყო, რადგან კარიერაში მეათედ (!) მიაღწია 100 ქულიან ზღვარს (44+56). მას მხოლოდ გრეცკი სჯობს, რომელსაც 15-ჯერ მიუღწევია ასეთი შედეგისთვის. „პინგვინებმა“ წლეულს პირველად გაიმარჯვეს ოვერტაიმში, ხოლო ლემიეს პარტნიორი ფრენსიზი 1328 ქულით დეტროიტელ აიზერმანთან ერთად მე-16 ადგილს იყოფს ნჰლ-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში.

რაც შეეხება გრეცკის, მან თავის გუნდთან ერთად კალიფორნია მოიარა. სამმა მატჩმა უეინი ძველ მეგობრებს და პარტნიორებს შეახვედრა. ყოფილ გუნდთან — ლოს ანჯელესთან მატჩის შემდეგ გრეცკის ანაჰაიმელმა კურიმ და სან ხოსელმა მაქსორლიმ უმასპინძლეს. თუმცა, დიდმა სპორტსმენმა მოგონებებს თავი არ მისცა და კარგი თამაში აჩვენა. მეტწილად მისი დამსახურებაა, რომ რეინჯერსმა ამ ტურნეში 4 ქულა აიღო, სან ხოსეში კი ორივე გოლი თვით უეინმა მოაწყო.

უიქენდი აღსავსე იყო იუბილეებით და საინტერესო მიღწევებით. ერთ-ერთი მიღწევა ანაჰაიმელ სელიანეს ეკუთვნის, რომელმაც ჩინებულად გამოიყენა პიტსბურგელი იაგრის არყოფნა. ფინელი თავის მუდმივ პარტნიორ კარიასთან ერთად ჯერ რეინჯერსს გაუსწორდა (მათ 3 შაიბა მოაწყვეს), შემდეგ კი მეტად საჭირო ქულა გაახერხა ასევე მრისხანე კოლორადოსთან. სწორედ სელიანეს რიცხვმრავლობაში გატანილმა შაიბამ დააფიქსირა საბოლოო ანგარიში, რის შემდეგ ფინელმა ბომბარდირმა 89 ქულით მეორეზე გადაინაცვლა, 42 გატანილი შაიბით კი ფილადელფიელ ლეკლერს და დეტროიტელ შენაჰანს გაუთანაბრდა. ანაჰაიმი სეზონში პირველად კონფერენციის სათავეში დამკვიდრდა.

ძალზე გაირთულეს საქმე ოტავამ და ვანკუვერმა. „სენატორებმა“ კალიფორნიაში ნათამაშებ სამ მატჩში ქულაც ვერ აიღეს და მერვე ადგილზე მყოფ ტამპას უკვე 6 ქულით ჩამორჩებიან.

გასაკვირია ვანკუვერის ამჟამინდელი მდგომარეობა. მით უფრო, რომ ბოლო მომენტამდე კარგად დაკომპლექტებული გუნდის ყველა წამყვანი მოთამაშე, გამოჯანმრთელებული ლინდენის თავკაცობით, მწყობრში იყო. სამაგიეროდ, ბოლო მატჩებს „კენაქსი“ თავისი ლიდერის ბურეს გარეშე ჩაატარებს. რუსი, იაგრის არ იყოს, ძველმა ტრავმებმა შეაწუხა.

ჩიკაგო — ფინიქსის მატჩში საყურადღებო ლიდერების ჟამნოვის და რენიქის ორთაბრძოლა იყო. ეს ჰოკეისტები ცენტრალური დივიზიონის ამ ორმა კლუბმა სეზონის დასაწყისში გაუცვალა ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ჟამნოვი და რენიქი თითქმის ერთნაირი შედეგიანობით გამოირჩევიან როგორც სეზონში (14+34 ჟამნოვი, 20+29 რენიქი), ასევე ამ მატჩში (არცერთი ქულა), შეიძლება ითქვას, რომ ამ გაცვლით უფრო ფინიქსმა მოიგო, რადგან ჩიკაგო წელს ჯერჯერობით ფლეი-ოფის მიღმაა. ფინიქსელები კი ამ გამარჯვების შემდეგ უკვე ოთხი ქულით უსწრებენ მეტოქეს. ქების ღირსია ფინიქსის გოლკიპერი ჰაბიბულინი, რომელმაც ზედიზედ მესამე მშრალი მატჩი ჩაატარა, ეს კი სეზონის რეკორდია.

დასასრულს კვლავ მიღწევებზე ვიქათ. ტორონტოელი მერფი 790-ე პასით ლიგაში მე-19 ადგილზე გადავიდა, აიზერმანი 33 გოლით — მე-17-ზე, ხოლო ანაჰაიმელმა კარიამ კოლორადოსთან მატჩის მერვე წამზე (!) გახსნა ანგარიში, რაც სეზონის უსწრაფესი გოლია და მხოლოდ სამი წამით ჩამორჩება ნჰლ-ის რეკორდს.

**სამველ ლარიბიანი**

# დოლარები დიდი სტიმულია




## მსოფლიოს VI ჭერქვეშა პირველობა

7-9 მარტი

ბერსის სპორტის სასახლე

პარიზი




| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 60 | ხარალამბოს პაპადიასი | საბერძნეთი | 6,50 | 1 | 1 | გეილ დივერსი | აშშ | 7,06 |
| | მაიკლ გრინი | იამაიკა | 6,51 | 2 | 2 | ჩანდრა სთურუპი | ბაჰამაზი | 7,15 |
| | დევიდსონ ეზინვა | ნიგერია | 6,52 | 3 | 3 | ფრედერიკ ბონგი | საფრანგეთი | 7,17 |
| 200 | კევინ ლითლი | აშშ | 20,40 | 1 | 1 | ეკატერინი კოფა | საბერძნეთი | 22,76 |
| | ივან გარსია | კუბა | 20,46 | 2 | 2 | ჯულიეტ ქასბერსი | იამაიკა | 22,77 |
| | ფრენსის ობიკველუ | ნიგერია | 21,20 | 3 | 3 | სვეტლანა გონჩარენკო | რუსეთი | 22,85 |
| 400 | სანდი ბადა | ნიგერია | 45,51 | 1 | 1 | ჯირლ მაილზ-კლარკი | აშშ | 50,96 |
| | ჯეიმზ ბოლჩი | ბრიტანეთი | 45,62 | 2 | 2 | სენდი რიჩარდსი | იამაიკა | 51,17 |
| | შუნძი კარუბე | იაპონია | 45,76 | 3 | 3 | პელენა ფუხსოვა | ჩეხეთი | 52,04 |
| 800 | ვილსონ კიპკიტერი | დანია | 1.42,67 | 1 | 1 | მარია მუტოლა | მოზამბიკი | 1.58,96 |
| | მაპჯუბ პაიდა | მაროკო | 1.45,76 | 2 | 2 | ნატალია დუხნოვა | ბელარუსი | 1.59,31 |
| | რიჩ კენა | აშშ | 1.46,16 | 3 | 3 | ჯოეტა კლარკი | აშშ | 1.59,82 |
| 1500 | ჰიშამ ელგერუჯი | მაროკო | 3.35,31 | 1 | 1 | ეკატერინა პოდკოპაევა | რუსეთი | 4.05,19 |
| | რუდიგერ შტენცელი | გერმანია | 3.37,24 | 2 | 2 | მერი სლეინი | აშშ | 4.05,22 |
| | ვილიამ ტანუი | კენია | 3.37,48 | 3 | 3 | პატრისია ჯატე-ტაიარი | საფრანგეთი | 4.06,16 |
| 3000 | პაილე გაბრესილასიე | ეთიოპია | 7.34,71 | 1 | 1 | გაბრიელა საბო | რუმინეთი | 8.45,75 |
| | პოლ ბიტოკი | კენია | 7.38,84 | 2 | 2 | სონია ოსალივანი | ირლანდია | 8.46,19 |
| | ისმაელ სლირი | მაროკო | 7.40,01 | 3 | 3 | ფერნანდა რიბერუ | პორტუგალია | 8.49,79 |
| 60 თარჯრბენი | ანიერ გარსია | კუბა | 7,48 | 1 | 1 | მიშელ ფრიმენი | იამაიკა | 7,82 |
| | კოლინ ჯექსონი | ბრიტანეთი | 7,49 | 2 | 2 | ჯილიან რასელი | იამაიკა | 7,84 |
| | თონი დიზი | აშშ | 7,50 | 3 | 3 | ჩერილ დიქი | აშშ | |
| | | | | | | პატრისია ყირარი | საფრანგეთი | 7,84 |
| 4X400 ამანათრბენი | აშშ<br>ჯეისონ რუზერი, მარკ ევერეტი, შონ მეი, დიონ მაინორი | | 3.04,93 | 1 | 1 | რუსეთი<br>ტატიანა ჩებუკინა, სვეტლანა გონჩარენკო, ოლგა კოტლიაროვა, ტატიანა ალექსეევა | | 3.26,84 |
| | იამაიკა<br>ლინვალ ლერდი, მაიკლ მაკდონალდი, დინზდეილ მორგანი, გრეგორი პოუთონი | | 3.08,11 | 2 | 2 | აშშ<br>შანელ პორტერი, ნატაშა კაიზერ-ბრაუნი, ანიტა პოვარდი, ჯირლ მაილზ-კლარკი | | 3.27,66 |
| | საფრანგეთი<br>მარი-პიერ ილერი, როდრიგ ნორდენი, ლუაკ ლერუე, ფრედ მანგო | | 3.09,68 | 3 | 3 | გერმანია<br>ანია რუკერი, ანკე ფელერი, პაიკე მაისნერი, გრიტ ბროიერი | | 3.28,39 |
| სიმაღლე | ჩარლზ ოსთინი | აშშ | 235 | 1 | 1 | სტეფკა კოსტადინოვა | ბულგარეთი | 202 |
| | ლამბროს პაპაკოსტასი | საბერძნეთი | 232 | 2 | 2 | ინპა ბაბაკოვა | უკრაინა | 200 |
| | დრაგუტინ ტოპიჩი | იუგოსლავია | 232 | 3 | 3 | პანე პაუგლანდი | ნორვეგია | 200 |
| სიგრძე | ივან პედროსო | კუბა | 851 | 1 | 1 | ფიონა მეი | იტალია | 686 |
| | კირილ სოსუნოვი | რუსეთი | 841 | 2 | 2 | ჩიომა აჯუნვა | ნიგერია | 680 |
| | ჯო გრინი | აშშ | 841 | 3 | 3 | აგატა კაჩმარეკი | პოლონეთი | 671 |
| სამხტომი | იოელ გარსია | კუბა | 1730 | 1 | 1 | ინა ლასოვსკაია | რუსეთი | 1501 |
| | ალიესერ ურუტია | კუბა | 1727 | 2 | 2 | აშია პანსენი | ბრიტანეთი | 1470 |
| | ალექსანდრ ასელედჩენკო | რუსეთი | 1722 | 3 | 3 | შარკა კასპარკოვა | ჩეხეთი | 1466 |
| ჭოკი | იგორ პოტაპოვიჩი | ყაზახეთი | 590 | 1 | 1 | სთეისი დრეგილა | აშშ | 440 |
| | ლორენს ჯონსონი | აშშ | 585 | 2 | 2 | ემა ჯორჯი | ავსტრალია | 435 |
| | მაქსიმ ტარასოვი | რუსეთი | 580 | 3 | 3 | ვეიან კაი | ჩინეთი | 435 |
| ბირთვი | იური ბილონოპი | უკრაინა | 2102 | 1 | 1 | ვიტა პავლიში | უკრაინა | 2000 |
| | ოლექსანდრ ბაგაჩი | უკრაინა | 2094 | 2 | 2 | ასტრიდ კუმბერნუსი | გერმანია | 1992 |
| | ჯონ გოდინა | აშშ | 2087 | 3 | 3 | ირინა კორჟანენკო | რუსეთი | 1949 |
| მრავალჭიდი | რობერტ ჟმელიკი | ჩეხეთი | 6228 | 1 | 1 | საბინე ბრაუნი | გერმანია | 4780 |
| | ერიკ ნოოლი | ესტონეთი | 6213 | 2 | 2 | მონა შტაიგაუფი | გერმანია | 4627 |
| | იონ-არნარ მაგნუსონი | ისლანდია | 6145 | 3 | 3 | კიმ კარტერი | აშშ | 4627 |

წელს პირველადაა, რომ როგორც ნაღდ, ასევე ჭერქვეშა მსოფლიო პირველობებზე ფული რიგდება. ჰოდა, წინა კვირის ბოლოს პარიზში ბევრად უკეთესი დასი შეიკრიბა, ვიდრე ამ ორი წლის წინ ბარსელონაში. მაშინ „სარბიელში" დავწერეთ, ვაი ასეთს ჩემპიონატსო.

საერთაშორისო ფედერაციის (ИААФ) პრეზიდენტმა, იტალიელმა დოქტორმა პრიმო ნებიოლომ მძლავრი სპონსორები მიიზიდა და პარიზის შეჯიბრების მონაწილეების დასაჯილდოებლად 2,3 მილიონი დოლარი გამოყო. პრეზიდენტი ჩემპიონატის გახსნის დროს ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სОК) სხდომაზე ბრძანდებოდა, მაგრამ ტელევიზიით მაინც შეეხმიანა მონაწილეებსა და მოსეირეებს და შენიშნა, მიმაჩნია, რომ გამარჯვებულებს მედლებისა და წოდებების გარდა იმდენი ფულიც ეკუთვნით, რომ სიბერე უზრუნველყოფილი ჰქონდეთო.

ყოველ ინდივიდუალურ ჩემპიონს 50 ათასი ერგო, ვერცხლის პრიზიორს — 20, ბრინჯაოსას — 10 ათასი. ამანათრბენების პრიზიორ გუნდებს გასანაწილებლად 60, 30 და 16 ათასი გამოუყვეს. გარდა ამისა, 50 ათასით დაჯილდოვდნენ ისინი, ვინც მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. ასეთი სულ ორი იყო: დანიელი ვილსონ კიპკიტერი და რუს დედაკაცთა ესტაფეტის გუნდი, თუმცა ნებიოლო ხუმრობდა, იმდენი რეკორდი დამყარდება, სპონსორი სიმწრით იტირებსო.

26 წლის კიპკიტერის შარშანდელი ფათერაკი კარგადაა ცნობილი: მართალია, 1991 წლიდან დანიაში ცხოვრობს, მაგრამ მოქალაქეობა წელს დეკემბერშილა ერგება. ამის გამო ატლანტის ოლიმპიადაზე ან სამშობლოს — კენიის გუნდში უნდა ერბინა, ანაც კენიელებს მისთვის დანიის სახელით ასპარეზობის ნება უნდა დაერთოთ. კენიელებმა არა ქნეს, კიპკიტერმაც არ დათმო და ოლიმპიადა გამოტოვა.

ვილსონმა (ასოშიეითიდ პრეს-ის ფოტოზე) პარიზში ახალი წლის მერე პირველად იასპარეზა ჰერქვეშ და 48 საათის განმავლობაში ორჯერ დაამხო ჰერქვეშა მსოფლიო რეკორდი. პარასკევს შესარჩევ გარბენში 800 მეტრის გარბენას 1.43,96 აჩვენა, რაც 0,88 წამითაა უკეთესი კენიელივე პოლ ერენგის შედეგზე, ამან 1989 წელს ბუდაპეშტში რომ გაახერხა. კიპკიტერს, ვისი გვარიც „ივანზე გაჩენილსა" ნიშნავს, პარასკევსვე უბოძეს 50-ათასიანი ჩეკი.

კვირას კიპკიტერმა თავი დადო და ერენგის შედეგს უკვე 2,16 წამით აჯობა. მერე თქვა, პირველი რეკორდი რომ დავამყარე, მეორეზე ფიქრი მაშინვე დავიწყე, რადგან ეპოქალური მიღწევა ჩავიფიქრეო.

რუსმა ქალებმა გერმანელთა მიერ სევილიაში 1991 წელს დამყარებული რეკორდი (3.27,22) გააუმჯობესეს, მაგრამ ქვეყანა აალაპარაკეს არა მათ, არამედ 45 წლის ეკატერინა პოდკოპაევამ, რომელმაც ბოლომდე სდია მეორე ბებერს — 38 წლის მერი სლეინის და ზედ ფინიშთან გაუსწრო, რითაც რევანშიც აიღო: საქმე ისაა, რომ 1983 წელს, ჰელსინკში, მსოფლიოს პირველ (!) ჩემპიონატზე ჩემპიონი სლეინი (იმ დროს დეკერი) გახდა, პოდკოპაევა კი მესამე ადგილზე გავიდა. მას აქეთ სლეინმ ფეხის 20 ოპერაცია გადაიტანა, მძლეოსნობის სამყაროში კი უფრო იმითაა ცნობილი, რომ 1984 წელს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ტანჩია სამხრეთაფრიკელ გოგოს — ზოლა ბადს დაეჯახა და ჩემპიონობა დაკარგვინა.

24 წლის მოზამბიკელმა მარია მუტოლამ (როიტერ-ის ფოტოზე) ტიტული დაიცვა იმისდა მიუხედავად, რომ ორი კვირის წინ ავტო-კატასტროფაში საყვარელი მამა დაეღუპა. მარია შინ გაფრინდა და პარიზში ჩასვლას არც ფიქრობდა, მაგრამ დედამა და დებმა გადაათქმევინეს. ახლა მუტოლა ათენის საზაფხულო ჩემპიონატის იმედზეა და რუსი სვეტლანა მასტერკოვას ძლევას აპირებს, ვისთანაც ატლანტაში თურმე იმიტომ წააგო, რომ ფილტვების ანთება ჰქონდა.

ათენის ჩემპიონატის მასპინძელმა ბერძნებმა მოულოდნელად ისახელეს თავი სპრინტში. არადა, არც პაპადიასსა და არც კოფას აქამდე თითქმის არავინ იცნობდა. ისე კი, მათს გამარჯვებას ძალზედ ცუდი გამოძახილი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ თებერვალში ბერძნებმა დორტმუნდში ირბინეს, მაგრამ შეჯიბრების დამთავრებისთანავე დაუტევეს გერმანია და დოპინგ-სინჯები არ ჩაუბარებიათ, თუმცა მასპინძლებმა დროულად გააფრთხილეს. რაკი ბალკანელებმა მსოფლიო პირველობამდე გასავლელი ორი კონტროლის მაგივრად ერთი ჩააბარეს, წესითა და რიგით, დისკვალიფიკაცია ეკუთვნით, მაგრამ ჩემპიონატის ორგანიზატორები შარს მოერიდნენ. ИААФ-ის ალმასკომი ბერძნების საკითხს 20-21 მარტს განიხილავს.

ელინები კიდევ ერთ დავაში მონაწილეობდნენ: ქალთა 60 მეტრზე სირბილის ნახევარფინალი რომ მორჩა, მათიანმა ეკატერინი თანუმ ამერიკელი გეილ დივერსი ფინალს მიღმა დატოვა, მაგრამ მერე მაყურებელთა გასაოცრად ტაბლოზე მათი გვარები გადაანაცვლეს. ბერძნებმა იჩივლეს, მსაჯებმა კი ფინალში მაინც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი დივერსი გაიყვანეს, აქაოდა ფოტოფინიშით აჯობა თანუსო. ამის გამო მედიამ სარკასტულად შენიშნა, როცა საქმე ფოტოფინიშზე მიდგება, დივერსს მუდამ წყალობს ბედიო: აი, ატლანტაშიც იამაიკელ ოთის 100 მეტრზე სულ რაღაც 0,005 წამი მოუგოო.

რაც შეეხება კარიბეთის დედოფალ მერლინ ოთის, მას ზედ შეჯიბრის წინ ზურგი ეტკინა. რუს ირინა პრივალოვას 60 მეტრის გაგანია ფინალში ფეხი ელრძო, ტრინიდადელი სპრინტერი ატო ბოლდონი კი ფინალში ვერ მოხვდა.

## ქვეყნების მონაგარი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 3 | 7 |
| კუბა | 3 | 2 | 0 |
| რუსეთი | 3 | 1 | 4 |
| უკრაინა | 2 | 2 | 0 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 |
| იამაიკა | 1 | 5 | 0 |
| გერმანია | 1 | 3 | 1 |
| ნიგერია | 1 | 1 | 2 |
| მაროკო | 1 | 1 | 1 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 2 |

თითო ოქრო — ბულგარეთი, დანია, ეთიოპია, იტალია, ყაზახეთი, მოზამბიკი, რუმინეთი; 3 ვერცხლი — ბრიტანეთი; თითო ვერცხლი და ბრინჯაო — კენია; თითო ვერცხლი — ავსტრალია, ბაჰამაზი, ბელარუსი, ესტონეთი, ირლანდია; 4 ბრინჯაო — საფრანგეთი; თითო ბრინჯაო — ჩინეთი, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, იუგოსლავია, პოლონეთი, იაპონია

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# მთის თხილამურები




## გასამართი ფინალებიდა დარჩა

პერნილა ვიბერგმა სლალომისა და ჯამური თასები დაიბევა, მიხაელ ფონგრენიგენმა კი — გიგანტური სლალომისა

როიტერი აშშ-დანა და იაპონიიდან



ხვალიდან ვეილში (კოლორადო, აშშ) მსოფლიო თასის ფინალები გაჩაღდება. ქალები და ვაჟები სეზონის ბოლო დაშვებას, სუპერ-გიგანტს, გიგანტურ სლალომსა და სლალომს გამართავენ.

ქალებმა წინა კვირაში იასპარეზეს მამოს-ლეიქსში (კალიფორნია, აშშ). იქ ხუთშაბათს საშინელმა, 50 კმ-სთ სიჩქარის ქარმა დაუბერა, რის გამოც სეზონის ბოლოსწინა სუპერ-გიგანტი სამჯერ გადაიდო და პარასკევს, 7 მარტს, სლალომის წინლა გაიმართა.

სუპერ-გიგანტი: 1. კატია ზაიცინგერი (გერმანია); 2. ჰილდე გერგი (გერმ) ჩამორჩა წამის 159 მეასედით; 3. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 164; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 178; 5. კათარინა გუტენსონი (გერმ) 209; 6. მარტინა ერთლი (გერმ) 237; 7. ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) 240; ...

25 წლის ზაიცინგერმა ტრასა უშეცდომოდ გავლო; ამ სეზონში — მესამე, კარიერაში კი — 27-ე ეტაპი მოიგო, სუპერ-გიგანტში მე-11-ედაც გაიმარჯვა, მაგრამ რაკი ვიბერგმა III ადგილი დაიჭირა და მსოფლიო თასის გათამაშების დამთავრებამდე ხუთი ეტაპით ადრე გერმანელს 511 ქულით გაუსწრო, წელს ჯამური გამარჯვებაც დაიბევა. საქმე ისაა, რომ ეტაპზე გამარჯვება 100 ქულად ფასობს, რის გამოც ზაიცინგერი ვიბერგს ველარ დაეწევა.

26 წლის პერნილა ვიბერგი ამგვარად შეიქნა პირველი სკანდინავი ქალი, ვინც მსოფლიო თასი მოიპოვა. შარშანდელი მფლობელი ზაიცინგერი იყო. გარდა ამისა, კატია ორჯერ (1993, 95) გასულა მეორე, ერთხელ (1994) კი — მესამე ადგილზე.

ვიბერგი სუპერ-გიგანტის თასსაც ლიდერობს, მაგრამ ახლა გერგს ოდენ 39 ქულას უგებს. ერთი სიტყვით, ვეილში ამ დისციპლინის ალბათ ახალი გამარჯვებულიც გამოვლინდება, რადგანაც თასის მფლობელი და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი კოსტნერი ვიბერგს 96 ქულით ჩამორჩება. შანსი არც ზაიცინგერს დაუკარგავს — ვიბერგთან სუპერ-გიგანტებში 75 ქულას აგებს.

სლალომი: 1. ვიბერგი; 2. საბინე ეგერი (ავსტრია) 25; 3. ლარა მაგონი (იტალ) 71; 4. კარინ როტენი (შვეიც) 97; 5. ელფი ედერი (ავსტ) 122; 6. დებორა კომპანიონი (იტალ) 126; 7. ანიტა ვახტერი (ავსტ) 136; ...

ვიბერგი პირველი ცდის შემდეგ 0,35 წამს აგებდა ეგერთან, მაგრამ მეორე ცდა ისე კარგი გამოუვიდა, რომ თავადა თქვა, სეზონში უკეთესად აქამდე არსად მიასპარეზიაო. რაკი სლალომში ვიბერგის მთავარი მეტოქე — ავსტრიელ-ზელანდიელი კლაუდია რიგლერი პირველსავე ცდაზე დაეცა, პერნილამ ერთ დღის მანძილზე მეორე მსოფლიო თასიც დაიბევა — სლალომისა. ისე კი, სეზონში მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა, 28 სტარტიდან კი მე-16-ედ მოხვდა კვარცხლბეკზე.

გამოვლინდა გიგანტური სლალომის თასის მფლობელიც. რაკი ვერასგზით მოხერხდა მრავალგზის გადადებული მავანი ეტაპის გამართვა, ამ სახეობის მსოფლიო ჩემპიონ კომპანიონის ველარავინ დაეწევა.

ვაჟებმა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლის — ნაგანოს (იაპონია) შემოგარენში, შინკოგენში გამართეს ორი ტექნიკური ეტაპი, რომლებშიც არ მონაწილეობდა ჩქაროსანი ლიუკ ალფონი (საფრანგეთი). ამის გამო უნივერსალი ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) მას ჯამურ ჩათვლაში ოდნავ წამოეწია. ვეილის ფინალების წინ ალფონს 1 072 ქულა აქვს, ომოდტს, 1994 წელს უკვე რომ ფლობდა თასს, — 955. ალფონი კოლორადოშიც ოდენ ორ სახეობაში იასპარეზებს, ომოდტი — ოთხივეში.

8.03. გიგანტური სლალომი: 1. მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია); 2. ანდრეას შიფერერი (ავსტ) 36; 3. პაულ აკოლა (შვეიც) 61; 4. ომოდტი 62; 5. იურე კოშირი (სლოვენია) 114; 6. ჰანს კნაუსი (ავსტ) 116; ...

სამართალმა პური ჭამა: 27 წლის შვეიცარელმა, ვისაც კარიერის 10-ვე გამარჯვება ამ დისციპლინაში მოუპოვებია, შეინარჩუნა შარშან მოგებული თასი. გარდა ამისა, წელს სესტრიერეს (იტალია) მსოფლიო ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

ფონგრენიგენი პირველი ცდის შემდეგვე ლიდერობდა, ბოლო გიგანტურის წინ კი 209 ქულით უსწრებს ომოდტს, ვისაც წამის მეასედით უკეთესი შედეგი რომ გაეხერხებინა, 10 ქულით მეტს მოიხვეჭდა.

კვლავ უხეიროდ იასპარეზა იტალიელმა ალბერტო ტომბამ. იგი პირველი ცდის შედეგად მოწინავე 30-ეულში ვერ მოხვდა. 30 წლის ვარსკვლავს იაპონელმა ქომაგებმა მაინც კალთები დაახიეს და ავტოგრაფებიც ბლომად ჩამოართვეს. ტომბამ მარცხი გაციებითა და დაღლილობით ახსნა.

9.03. სლალომი: 1. თომას შტანგასინგერი (ავსტრია); 2. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვ) 84; 3. ოლე-კრისტიან ფურუსეთი (ნორვ) 122; 4. კიმინობუ კიმურა (იაპონია) 128; ... 10. ომოდტი 261; ...

26-მა მონაწილემ პირველი ცდა ვერ დაასრულა. ამ კომპანიაში აღმოჩნდნენ ტომბა, ვინაც ბრძანა, მთელი ღამე ვშფოთავდი, რადგან დილის 9 საათზე ვერა ვდგებოდი; აგრეთვე ფონგრენიგენი და ამ სეზონის სლალომების 5-გზის გამარჯვებული, ავსტრიელი თომას სიკორა.

შტანგასინგერს ფურუსეთი პირველი ცდის შემდეგ 0,39 წამს უგებდა. ავსტრიელმა ბოლოს მაინც იმარჯვა — სეზონში პირველად, რის გამოც სლალომების კარუზო ვეილშილა გამოვლინდება: სიკორა შტანგასინგერს 76 ქულითლა ჯობნის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29